პაატა გუგუშვილის

# ეკონომიკის ინსტიტუტი

1944-2009

თბილისი

2010

## პაატა გუგუშვილის

# ეკონომიკის ინსტიტუტი

## 1944-2009

თბილისი

2010

წიგნი ეძღვნება პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის 65 წლისთავს. იგი მოგვითხრობს ინსტიტუტის სამეცნიერო და საორგანიზაციო საქმიანობის და მისი თანამშრომლების შესახებ


**რამაზ აბესაძე**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**მიხეილ ჯიბუტი**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



რედაქტორი

პროფესორი **თინათინ ჩხეიძე**

პასუხისმგებელი პირი

**ზურაბ წერეთელი**

## სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი 65 წლისაა

**სსიპ – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის კანონმემკვიდრეა. იგი მუდამ იყო ქვეყანაში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისა და ამ სფეროში სამეცნიერო კადრების აღზრდის ფლაგმანი. ინსტიტუტი სამართლიანად ითვლება საქართველოში პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებების განმსაზღვრელად და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კოორდინატორად ეკონომიკის დარგში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი დაარსდა მეორე მსოფლიო ომის წლებში აკადემიკოს **პაატა გუგუშვილის** ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით.

საშტატო განრიგი საკავშირო სახკომსაბჭოსთან არსებულმა საშტატო კომისიამ 1944 წლის 15 აპრილს დაამტკიცა, მუშაობას კი ინსტიტუტი ფაქტობრივად მაისიდან შეუდგა. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება №734 – „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან ეკონომიკის ინსტიტუტის მოწყობის შესახებ“, მიღებულ იქნა 1944 წლის 29 ივნისს, რომლის მიხედვითაც, ინსტიტუტის შტატი განისაზღვრა 16 ერთეულით (დირექტორი, სწავლული მდივანი (უფროსი მეცნიერი თანამშომელი), სამი სექტორის გამგე, სამ-სამი უფროსი და უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, ბიბლიოთეკის გამგე და ოთხი ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალი).

# დადგენილება № 734

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

## საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან ფილოსოფიის ინსტიტუტის მოწყობის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოეწყოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ფილოსოფიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის შტატი 1944 წლისათვის 16 ერთეულის რაოდენობით, რომლის ხელფასის თვიური ფონდი განისაზღვროს 17.165 მანეთის რაოდენობით, თანახმად დანართისა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. [illegible]შვილი.

1944 წლის 29 [illegible]

ინსტიტუტის პირველი მეცნიერი თანამშრომლები იყვნენ: პროფ. **პაატა გუგუშვილი** (დირექტორი, განყოფილების გამგე), **აკაკი კაკაბაძე** (სწავლული მდივანი), ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. **ნიკოლოზ იაშვილი** (სექტორის გამგე), ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. **იოსებ ბაჯაძე** (სექტორის გამგე), ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. **ივანე ჯაში** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. **ლევან ასათიანი** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), **ლუარსაბ კარბელაშვილი** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), **ნიკოლოზ ტყეშელაშვილი** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), **ნიკანდრო ჯაკობია** (უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი), **შურა მარგველაშვილი** (უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი), **ია ყიფშიძე** (უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი), **მარი კაპანელი** (უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი). შემდეგ უახლოეს წლებში (1945-1950) ინსტიტუტში მუშაობას იწყებენ: **ფილიპე გოგიჩაიშვილი, ვასილ ჩანტლაძე, ვალერიან მელქაძე, სერგი ბერაძე, ვალერიანე ბახტაძე, კირილე ღოღობერიძე, მიხეილ გველესიანი, მიხეილ კახეთელიძე, ვლადიმერ პაპავა, ნიკო დგებუაძე, დიმიტრი ქორიძე, ანდრო ფაცურია, ნიჟა ხურციძე, რაფიელ ხარბედია, ბექირბი ხასია, აპოლონ ნუცუბიძე, მამულო კეკელიძე, ქეთევან დადიანი.**

ინსტიტუტის პირველ სამეცნიერო საბჭოში შედიოდნენ: პროფესორი **პაატა გუგუშვილი** (ინსტიტუტის დირექტორი), აკადემიკოსი **სიმონ ჯანაშია**, აკადემიკოსი **ნიკო კეცხოველი**, პროფესორები: **ფილიპე გოგიჩაიშვილი, გიორგი გეხტმანი** და **ნიკოლოზ ქოიავა**, დოცენტები: **აკაკი კაკაბაძე** (ინსტიტუტის სწავლული მდივანი), **იოსებ ბაჯაძე, ნიკო იაშვილი, ივანე ჯაში, ლუარსაბ კარბელაშვილი, ნიკოლოზ ტყეშელაშვილი, ირაკლი**

**მიქელაძე**, საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარი **კონსტანტინე ციმაკურიძე**, სტატისტიკის სამმართველოს უფროსი **გ. ფერაძე**, მიწსახკომის საკოლმეურნეო განყოფილების უფროსი, დოცენტი **შ. ჭელიძე**.

როგორც წესი, ინსტიტუტის ორგანიზაციული სტრუქტურა ყოველთვის შეესაბამებოდა სამეცნიერო-კვლევით თემატიკას. ინსტიტუტში, თავდაპირველად, ნავარაუდევი იყო სამი – სოფლის მეურნეობის ეკონომიკის (**პროფ. ნიკო იაშვილი**), მრეწველობის ეკონომიკის (დოც. **იოსებ ბაჯაძე**), და ვაჭრობის ეკონომიკის სექტორების გახსნა. მაგრამ ვაჭრობის ეკონომიკის სექტორის ნაცვლად დაარსდა სახალხო მეურნეობის ისტორიის სექტორი. გარკვეულ პერიოდამდე ინსტიტუტში არსებობდა სამი სამეცნიერო დანაყოფი: სოფლის მეურნეობის სექტორი, მრეწველობის ეკონომიკის სექტორი და სახალხო მეურნეობის ისტორიის სექტორი (პროფესორი **პაატა გუგუშვილი**).

აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტის თავდაპირველმა სტრუქტურამ შემდგომ პერიოდებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი ყოველთვის შეესაბამებოდა ეკონომიკური მეცნიერების განვითარების მსოფლიო სტანდარტებს და პასუხობდა ქვეყნის ეკონომიკის წარმატებით შესწავლისა და აღორძინებისათვის საჭირო მოთხოვნებს.

ინსტიტუტში სხვადასხვა დროს ეკონომიკის განხრით ფუნქციონირებდა შემდეგი განყოფილებები: სოფლის მეურნეობის ეკონომიკის განყოფილება (გამგეები: ემდ, პროფ. **ნიკო იაშვილი,** ემდ, პროფ. **აპოლონ ნუცუბიძე**, ემდ, პროფ. **მიხეილ კახეთელიძე**, ემდ, პროფ. **ამირან ჯიბუტი**); სახალხო მეურნეობის ისტორიის (აკად. **პაატა გუგუშვილი**); მრეწველობის ეკონომიკის (ემკ **იოსებ**

**ბაჯაძე**, ემდ, პროფ. **კანდიდ ჩარკვიანი**, აკად. **ავთანდილ გუნია**); სოციალისტური წარმოების გაადგილების (ემდ **აკაკი კაკაბაძე**); პოლიტიკური ეკონომიის განყოფილება (აკად. **ავთანდილ გუნია**, ემდ, პროფ. **აპოლონ ნუცუბიძე**, ემკ **მერაბ გველესიანი**); სტატისტიკის (ემდ, პროფ. **მიხეილ კახეთელიძე**); მიმოქცევის (ემდ, პროფ. **აკაკი კაკაბაძე**); სახალხო მეურნეობისა და ეკონომიკური აზრის ისტორიის (აკად. **პაატა გუგუშვილი**); საბჭოთა ეკონომიკისა და ეკონომიკური აზრის განვითარების (ემდ, პროფ. **ბექირბი ხასია**); საქართველოს ეკონომიკის ისტორიის (ემდ, პროფ. **ბექირბი ხასია**, ემკ **ნათია შიოლაშვილი**); სოციოლოგიის (აკად. **პაატა გუგუშვილი**); აღრიცხვისა და ფინანსების (ემკ **შალვა ბურდული**); სოციალისტური აღწარმოების (აკად. **ავთანდილ გუნია**); საქართველოს ეკონომიკის განვითარების განზოგადებისა და ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის განყოფილება (**ემდ, პროფ. მიხეილ ჯიბუტი, ემდ. მიხეილ თოქმაზიშვილი, ემდ, პროფ. ვალერიან დათუკიშვილი**); მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკურ პრობლემათა (აკად. **ავთანდილ გუნია, ილია რუბინშტეინი**, ემდ **თამაზ ჩიკვაიძე**); აღწარმოებისა და კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიკური ეფექტიანობის (ემდ **არჩილ თეთრაული**); აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკურ პრობლემათა (ემკ **დურსუნ დიასამიძე**, ემკ **თენგიზ ქავთარაძე**); ეკონომიკური განვითარების (ემდ **გივი ბედიანაშვილი**, ემდ, პროფ. **რამაზ აბესაძე**); არასაწარმოო სფეროს ეკონომიკურ პრობლემათა განყოფილება (ემკ **რევაზ ჯავახიშვილი**); სოციალისტური ეკონომიკის განვითარების გამოცდილების განზოგადებისა და ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის (იმდ, პროფ. **ალექსანდრე ბრეგვაძე**); დემოგრაფიისა და სოციოლოგიის (აკადემიკოსი **პაატა**

გუგუშვილი, ემდ **ავთანდილ სულაბერიძე**); ეკონომეტრიკის (ფ/მმკ **როლანდ სარჩიმელია**); მაკროეკონომიკის (ემდ **არჩილ თეთრაული**, ემკ **ნანული არევაძე**); მიკროეკონომიკის (ემკ **ზურაბ სოსელია**, ემდ **თემურ ბერიძე**, ემდ, პროფ. **გიორგი პაპავა**, **ემდ, პროფ. რამინ მითაიშვილი**, ემკ **იზა ნათელაური**); საფინანსო და საბანკო სისტემების (ემდ **მიხეილ როკეტლიშვილი**, **თინა ქურდაძე**); რეგიონული ეკონომიკის (ემკ **ვახტანგ ბურდული**); აგრარული ეკონომიკის (ემკ **დურსუნ დიასამიძე**); ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის (ემდ, **პროფ. გიორგი წერეთელი**); ეკონომიკურ პროცესთა მართვის (ემდ, **პროფ. გიორგი ბერულავა**); ფინანსების, ბუღალტრული აღრიცხვის, სტატისტიკისა და აუდიტის (ემკ **თეა ლაზარაშვილი**); აგრარული, რეგიონული ეკონომიკის (ემდ **ვახტანგ ბურდული**); ეკონომიკური ინფორმატიკის (ემკ **ნანა ბიბილაშვილი**); ეკონომიკური აზრისა და სახალხო მეურნეოების ისტორიის (ემდ, **პროფ. ბექირბი ხასია**); მართვის ეკონომიკური პრობლემების ლაბორატორია (ემდ **ვახტანგ ბურდული**); სისტემური გამოკვლევებისა და ქ. თბილისის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგიის ლაბორატორია (ემდ **გივი ბედიანაშვილი**); ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების სექტორი (ემდ **როლანდ სარჩიმელია**); ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ეკონომიკურ პრობლემათა ლაბორატორია (ემკ **თენგიზ ხოშტარია, ემდ ლეო ჩიქავა**); აღრიცხვისა და ფინანსების მართვის ავტომატიზებული სისტემის ფუნქციონირების ეკონომიკური ეფექტიანობის ჯგუფი (ემკ **შალვა ბურდული**); შრომის ესთეტიკის ლაბორატორია (**ფ/მმდ ა. ჩხარტიშვილი**); სოციალური ინფრასტრუქტურის ეკონომიკის ლაბორატორია (ემკ, **დოც. რევაზ ჯავახიშვილი**); ინფორმატიკის

ლაბორატორია (ემკ **გივი ლემონჯავა**); საგარეო ეკონომიკური კავშირების ლაბორატორია (ემკ **იზა ნათელაური**); მარკეტინგის ლაბორატორია (ემკ **მალხაზ შუბითიძე**); მენეჯმენტის ლაბორატორია (ემკ **თამაზ აქუბარდია**); მეურნეობრიობის ახალი ფორმების ლაბორატორია (ემდ **უშანგი სამადაშვილი**); რეგიონული მართვის ლაბორატორია (ემდ **ვახტანგ ბურდული**); აგრობიზნესის ლაბორატორია (ემკ **თენგიზ ქავთარაძე**); სოფლის მეურნეობაში საბაზრო ურთიერთობათა კვლევის ლაბორატორია (ემკ **ლინა დათუნაშვილი**); ენერგო-ეკოლოგიის ეკონომიკურ პრობლემათა ლაბორატორია (ემდ **რამაზ აბესაძე**);

1944 წელს ეკონომიკის ინსტიტუტის შექმნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისა და ეკონომიკური აზროვნების კულტურის ამაღლებისათვის. ამ ინსტიტუტში დაგროვებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა ეკონომიკური პროფილის რამდენიმე ინსტიტუტი და განყოფილება (მათ შორის **საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის (1958), ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის (1958), ცხინვალის სამეცნიერო-კვლევითი (1946) ინსტიტუტების ეკონომიკური განყოფილებები**).

*** * ***

თავისი არსებობის მანძილზე ინსტიტუტმა არაერთგზის განიცადა ცვლილებები. 1957 წელს მის შემადგენლობაში შეიქმნა სამართლის განყოფილება, რომელიც მალე გარდაიქმნა სექტორად (ხელმძღვანელი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **თინათინ წერეთელი**. თანამშრომლები: **ივანე სურგულაძე,**

ლამარა სურგულაძე, დავით ფურცელაძე, ვლადიმერ მაყაშვილი, ისიდორე დოლიძე, თამარ ცაგურია, გიორგი ნადარეიშვილი, თენგიზ ლილუაშვილი, აკაკი მენაბდე, გივი ჟვანია, ალბერტ აბესაძე, დიმიტრი ბარათაშვილი, რეჯინალდ დეკანოზოვი, ბადრი ხასან ფარვიზფური, ხუტა როგავა, რევაზ ჩიჩუა, მიხეილ კეკელია, ოთარ გამყრელიძე, ბესარიონ ზოიძე, იაკობ ფუტკარაძე, ჯონი ხეცურიანი, ელენე მისკარიანი, გიორგი ტყეშელიაძე, ლევან გიორგაძე, თედო ნინიძე, კარლო ბზიშვილი, ნიბლია უგრეხელიძე, მინდია უგრეხელიძე, მზია ლეკვეიშვილი, ჯამლეტ ბაბილაშვილი, თამარ ებრალიძე, გიორგი თოდრია, ირაკლი გოძიაშვილი, სულხან გოგინავა, რუსუდან ბაქანიძე, ედუარდ კემულარია, გივი გოლოშვილი, დოდო ჯულუხაძე, ჯემალ ლეონიძე, ჯუმბერ რუსიაშვილი, მურთაზ გულედანი, მარიკა ცისკაძე, ქეთინო გაბელაია, ბესარიონ სეხნიანიძე, დავით ნადირაძე, მედიკო გვაზავა, მერაბ გელოვანი, თემურ გამცემლიძე, გოგი ლეჟავა, დავით დარახველიძე, გია ჭიღვარია, მაია ჩხატარაიშვილი, რევაზ ცინცაძე, თემურ ჯაფარიძე) და რის გამოც მას 1958 წელს **ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი** ეწოდა. 1988 წელს სამართლის სექტორი სამართლის ცენტრად გადაკეთდა (**პროფ. თამაზ შავგულიძე**).

ინსტიტუტში სამართლის სექტორი ქართული იურიდიული მეცნიერების განვითარების კერად იქცა. მის წიაღში იურისტ მეცნიერთა მთელი თაობა აღიზარდა, რომელთა ნაშრომები მრავალ უმნიშვნელოვანეს პრობლემას (კრიმინოლოგიის, საერთაშორისო სამართლის, სახელმწიფოსა და სამართლის, სამოქალაქო სამართლის და სხვ.) ეძღვნება, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს ეროვნულ სამართალშემოქმედებით წინსვლაში. განსაკუთ-

რებით აღსანიშნავია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის **თინათინ წერეთელის** მოღვაწეობა, რომლის სამეცნიერო შრომებმა ეროვნულ იურიდიულ მეცნიერებას საყოველთაო აღიარება მოუტანა. ასევე აღსანიშნავია **ისიდორე დოლიძის, ვლადიმერ მაყაშვილის, თამაზ შავგულიძის, დავით ფურცელაძის, გიორგი ნადარეიშვილის, გივი ქვანიას, თენგიზ ლილუაშვილის, ოთარ გამყრელიძის, იაშა ფუტკარაძის, ჯონი ხეცურიანის, ბესარიონ ზოიძისა და სხვათა ნაშრომები.**

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ეკონომიკაში მათემატიკური მეთოდებისა და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების მიმართულებით დაწყებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში ჩართული იყვნენ ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **სერგო ბუაჩიძე,** ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **ბიძინა კელენჯერიძე**, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **ზურა გალდავა**, უმცროსი მეცნიერი თანამშრომლები **დავით კურტანიძე, დავით ჯაფარიძე, მზია ქებურია**, ამასთან, **დავით კურტანიძე** და **მზია ქებურია** ეკონომიკურ-მათემატიკური მიმართულებით ინსტიტუტის პირველი ასპირანტები იყვნენ (ხელმძღვანელი **ბიძინა კელენჯერიძე**).

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის წინადადებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ილია ვეკუამ თსუ გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტიდან ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში ეკონომიკის მათემატიკურ-კიბერნეტიკული კვლევების გასაღრმავებლად ბრძანებით გადმოიყვანა 50-მდე თანამშრომელი, ძირითადად მათემატიკოსები. შედეგად, 1973 წლიდან ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში ფუნქციონირება დაიწყო ეკონომიკურ-მათემატიკური კვლევისა

და მათემატიკური სტატისტიკის სექტორმა (ხელმძღვანელი ფ/მმდ, პროფ. **გვანჯი მანია**), რომელთანაც ერთად სექტორის მუშაობას ახალგაზრდა პერსპექტიული მეცნიერი **რევაზ ჩიტაშვილი** წარმართავდა. მოგვიანებით სექტორის საორგანიზაციო საქმეები დაევალა ფ/მმკ **თენგიზ შერვაშიძეს.**

სექტორში თავიდან შედიოდა ორი განყოფილება და ერთი ჯგუფი. შემდეგ სექტორი გაფართოვდა და წარმოდგენილი იქნა ხუთ განყოფილებად:

1. ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის (გამგე ფ/მმკ **ელიზბარ ნადარაია,** 1981 წლიდან ფ/მმკ **თენგიზ შერვაშიძე**);
2. მართვადი შემთხვევითი პროცესების სტატისტიკის (ფ/მმკ **რევაზ ჩიტაშვილი**);
3. სოციალურ-ეკონომიკური პროგნოზირებისა და ოპტიმალური პროგრამირების (ფ/მმკ **როლანდ სარჩიმელია**);
4. შემთხვევითი პროცესების სტატისტიკის (ფ/მმკ **ომარ ღლონტი**);
5. სტატისტიკურ გადაწყვეტილებათა განყოფილება (ფ/მმკ **ესტატე ხმალაძე**).

გარდა ამისა, სექტორში მუშაობდა პროგნოზირების მეთოდოლოგიის ჯგუფი (**ვიქტორ სარაჯიშვილი**).

სექტორის შემადგენლობაში მუშაობდნენ მეცნიერ თანამშრომლები: **გურამ ბერიშვილი, შოთა ბერიძე, ირაკლი ბოკუჩავა, ტრისტან ბუაძე, მიხეილ ბრეგვაძე, ნიკო გამყრელიძე, ლეილა გვანცელაძე, დიმიტრი დუნდუა, ოფელია ებრალიძე, შორენა ებრალიძე, ნუგზარ ელბაქიძე, სიმონ ელოშვილი, ზურაბ ზერაკიძე, ნანული ლაზრიევა, გივი ლემონჯავა, ქეთევან მანჯგალაძე, იოსებ მელამედი, გურამ მირზაშვილი, ედიკ მნაცაკანოვი, მარინა მუჩიაშვილი, ელიზბარ ნადარაია, აჩიკო ოსიძე, რეზო**

სალია, ვიქტორ სარაჯიშვილი, როლანდ სარჩიმელია, გია სოხაძე, მერი ტალახაძე, თემურ ტორონჯაძე, როლანდ ტყებუჩავა, ვოვა ფელკერი, გივი ფიფია, ვოვა ფრიშლინგი, მზია ქებურია, გია ქინქლაძე, ომარ ღლონტი, თამაზ შაფათავა, მალხაზ შაშიაშვილი, თენგიზ შერვაშიძე, ლია ჩიტაშვილი, რევაზ ჩიტაშვილი, ელენე ჩიქოვანი, მერი ჩხეტია, ზურაბ ძაგნიძე, რევაზ ჭეიშვილი, ბადრი ხარაძე, ციალა ხახუბია, ესტატე ხმალაძე, ლევან ჯამბურია.

სექტორში ჩატარებული სამეცნიერო სამუშაოებიდან აღსანიშნავია **რევაზ ჩიტაშვილის, ესტატე ხმალაძის, ელიზბარ ნადარაიას, როლანდ სარჩიმელიას, ომარ ღლონტის, თენგიზ შერვაშიძის, ნანული ლაზრიევას, მზია ქებურიას, გივი ლემონჯავას, თემურ ტორონჯაძის, მიხეილ მანიას, ლია ჩიტაშვილის, ელენე ჩიქოვანის, გურამ მირზაშვილის, მერი ტალახაძის, ლევან ჯამბურიას ნაშრომები.**

ეკონომიკურ-მათემატიკურ გამოკვლევათა და მათემატიკური სტატისტიკის სექტორის მეცნიერ მუშაკთა ძირითადი ნაწილი 1983 წელს შეუერთდა **საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტს**, მეცნიერ მუშაკთა დანარჩენი ნაწილი გადაყვანილ იქნა **ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში** და **საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო ძალთა შემსწავლელი კომისიის** შემადგენლობაში.

ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში დარჩა სოციალურ-ეკონომიკური პროგნოზირებისა და ოპტიმალური პროგრამირების განყოფილება, რომელიც ინსტიტუტის დირექტორის აკად. **ავთანდილ გუნიას** ინიცია-

ტივით ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების სექტორად გადაკეთდა (ემდ **როლანდ სარჩიმელია**).

ეკონომიკურ-მათემატიკური კვლევის მიმართულების ძლიერი სამეცნიერო პოტენციალი თსუ ეკონომიკური კიბერნეტიკის კურსდამთავრებულთა და ასპირანტთა ახალგაზრდა პერსპექტიული მეცნიერული კადრებით შეივსო.

* * *

ინსტიტუტის ბაზაზე 1963, 1989 და 1991 წლებში შეიქმნა სამი დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი: **საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის ინსტიტუტი** (დამფუძნებელი და პირველი დირექტორი პროფესორი **ვალერიან მელქაძე**, თანამშრომლები: **კანდიდ ჩარკვიანი, ნანული არევაძე, დომენტი მოურავიძე, გურამ ყუფუნია, გია ფირცხალავა, ალექსანდრე წერეთელი, ნიკა ხურციძე, ილია მანაშეროვი**); **საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი** (დამფუძნებელი და პირველი დირექტორი, პროფესორი **თამაზ შავგულიძე**).

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიის ინსტიტუტი** (დამფუძნებელი და პირველი დირექტორი, პროფესორი **ლეო ჩიქავა**, თანამშრომლები: **ავთანდილ სულაბერიძე, იზოლდა აბაშიძე, მარინა ბეგთაბეგიშვილი, ციცინო გვრიტიშვილი, ანზორ სახვაძე, ნუნუ ყრუაშვილი, ვაჟა ლორთქიფანიძე, ვაჟა გურგენიძე, ანზორ თოთაძე, აზა ნიკოლაიშვილი.**

1989 წელს ინსტიტუტს კვლავ ეკონომიკის ინსტიტუტი ეწოდა, ხოლო 1991 წლიდან მისი დამაარსებლის **აკადემიკოს პაატა გუგუშვილის** სახელი მიენიჭა.

* * *

ინსტიტუტის დაარსებიდან დღემდე არაერთმა მეცნიერთანამშრომელმა გამოიჩინა თავი სამეცნიერო მოღვაწეობით. სამეცნიერო პროდუქციის სიუხვით გამოირჩევიან: პაატა გუგუშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ავთანდილ გუნია, ვასილ ჩანტლაძე, ვალერიან ბახტაძე, მიხეილ გველესიანი, ნიკო იაშვილი, აკაკი კაკაბაძე, ლუარსაბ კარბელაშვილი, მიხეილ კახეთელიძე, აპოლონ ნუცუბიძე, გრიგოლ ქარჩავა, ბექირბი ხასია, ვალიკო ჯიბლაძე, კირილე ღოღობერიძე და სხვა. 60-იან წლებში და 70-იანი წლების პირველ ნახევარში მათ შეუერთდათ: ვლადიმერ ახალაია, ოთარ ავალიშვილი, ალექსანდრე ბრეგვაძე, რევაზ გოგოხია, შალვა ბურდული, ვალერიან დათუკიშვილი, დურსუნ დიასამიძე, გრიგოლ თოდუა, ანზორ თოთაძე, არჩილ თეთრაული, იური კაპანაძე, შურა მარგველაშვილი, გიორგი მშვილდაძე, ვალენტინა მიშინა, ნოე პაიჭაძე, გიორგი პაპავა, ვალიკო რეხვიაშვილი, სერგო სოსელია, არჩილ სტეფანიშვილი, რაფაელ ხარბედია, კანდიდ ჩარკვიანი, თენგიზ ხოშტარია, ნანული არევაძე, რეზო ჯავახიშვილი, ამირან ჯიბუტი და სხვები. განსაკუთრებით შესამჩნევი და მნიშვნელოვანია ავტორთა ზრდა 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან დღემდე. ამ პერიოდში აქტიურ სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდნენ: რამაზ აბესაძე, თამაზ აქუბარდია, რამაზ ახმეტელი, გივი ბედიანაშვილი, ციალა ბენაშვილი, თემურ ბერიძე, გიორგი ბერულავა, ვახტანგ ბურდული, თემურ ბრელიძე, მერაბ გველესიანი, ლეილა გუგუშვილი, ლილი გვენეტაძე, ლინა დათუნაშვილი, ხვთისო დარისპანაშვილი, ბონდო ზარნაძე, ლია თოთლაძე, გია თოფურია, მიხეილ თოქმაზიშვილი, ეთერ კაკულია, ნაზირა კაკუ-

ლია, ოთარ კანდელაკი, არჩილ კობახიძე, ევგენი კირიკოვი, თეა ლაზარაშვილი, გივი ლემონჯავა, მედეა მელაშვილი, ელგუჯა მექვაბიშვილი, მარინა მუჩიაშვილი, იზა ნათელაური კოტე ნიჟარაძე, ვლადიმერ პაპავა, დავით პაქსაშვილი, ზურაბ რევიშვილი, მიხეილ როკეტლიშვილი, როლანდ სარჩიმელია, ზურაბ სოსელია, აზიკო სისვაძე, ავთანდილ სულაბერიძე, უშანგი სამადაშვილი, ნოდარ ულუმბერაშვილი, მზია ქებურია, თემურ ქოჩიაშვილი, თენგიზ ქავთარაძე, ნუნუ ქისტაური, თინა ქურდაძე, თამაზ ჩიკვაიძე, ელენე ჩიქოვანი, თინათინ ჩხეიძე, ნათელა შიოლაშვილი, რომან ხარბედია, ქეთევან წიკლაური, ნუგზარ ცომაია, მარინე ცუცქირიძე, გიორგი წერეთელი, მიხეილ ჯიბუტი, მამუკა ხუსკივაძე და სხვები. აღსანიშნავია ისიც, რომ გიორგი წერეთლის, ხვთისო დარისპანაშვილის, თემურ ბერიძის და უშანგი **სამადაშვილის** მონოგრაფიებს სხვადასხვა წლებში მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სპეციალური მედალი და პრემია ახალგაზრდა მეცნიერთა საუკეთესო მეცნიერული ნამუშევრებისათვის. 2000–2003 წლებში აქტიური სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისთვის საქართველოს ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. **რამაზ ბესაძე,** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი **იოველ ასათიანი,** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვალერიან დათუკიშვილი,** ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **იური კაპანაძე,** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი გიორგი პაპავა,** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი **როლანდ სარჩიმელია,** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი თინა ჩხეიძე,** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გიორგი წერეთელი; ღირსების მედლებით:** ეკონომიკურ

მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ლინა დათუნაშვილი,** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი **არჩილ თეთრაული,** ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **იზა ნათელაური.**

ეკონომიკის ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ გამოცემულია 450-ზე მეტი ცალკეული ნაშრომი. მათგან აღსანიშნავია აკადემიკოსების **პაატა გუგუშვილის, ავთანდილ გუნიას და ვასილ ჩანტლაძის,** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტების **ვლადიმერ პაპავას** და **ლეო ჩიქავას,** პროფესორების **გიორგი წერეთლის, რამაზ აბესაძის, გიორგი პაპავას, თამაზ ჩიკვაიძის** და სხვათა მონოგრაფიები. მნიშვნელოვანია **"ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების"** კრებულის (მთავარი რედაქტორი პაატა გუგუშვილი) თხუთმეტი ტომის, კრებულის – **"ეკონომიკა"** – ექვსი ტომის, ინსტიტუტის თემატური სამეცნიერო ნაშრომთა კრებულის **"საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში"** ოთხი ტომის (პროფ. გიორგი წერეთლის რედაქციითა და წინასიტყვაობით), **"პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულის"** ორი ტომის (მთავარი რედაქტორი ემდ, პროფ. რამაზ აბესაძე), ასევე კოლექტიური ნაშრომების **"ეკონომიკურად დამოუკიდებელი საქართველოს კონცეპტუალურ-ნორმატიული მოდელი"** (ხელმძღვანელი ემდ, პროფ. ვლადიმერ პაპავა), **"სუვერენული საქართველოს ეკონომიკის განვითარების კონცეფცია"** (ხელმძღვანელი აკად. ავთანდილ გუნია) და "საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფცია" (ხელმძღვანელი ემდ, პროფ. ვლადიმერ პაპავა) გამოცემა;

ინსტიტუტის კოლექტივი წარმატებით ახორციელებს კვლევის შედეგების ცალკე ნაშრომებად გამოცემას. ბოლო წლებში გამოიცა მრავალი ნაშრომი, რომელთაგან

აღსანიშნავია: **“გარემო ბუნების დაცვის პროცესთა ეკონომიკური რეგულირების საკითხები საბაზრო ურთიერთობების პირობებში"**. თბილისი, "მეცნიერება", 2003 (პროფესორი გიორგი წერეთელი); **"პოსტკომუნისტურ ქვეყანაში უმუშევრობით გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური შედეგების განსაზღვრისა და შემცირების გზები (საქართველოს მაგალითზე)"**. თბილისი, "მეცნიერება", 2004 (პროფესორი გიორგი წერეთელი, ემკ ნანა ბიბილაშვილი); “**Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism”,** New York: Universe, 2005 (პროფესორი ვლადიმერ პაპავა); **”პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა”,** თბილისი, ”პდპ”, 2002 (პროფესორი ვლადიმერ პაპავა); **”ცენტრალური კავკასია (გეოპოლიტეკონომიური ნარკვევი)”,** თბილისი, ”სიახლე”, 2009 (პროფესორი ვლადიმერ პაპავა); **”ეკონომიკური განვითარება”.** თბ., “მერიდიანი”, 2006 (პროფესორი რამაზ აბესაძე); **“Методология познания качеств реалий смешанной рыночной экономики и паралогизмы” Стокгольм, CA&CCPress, 2009.** (პროფესორი გიორგი პაპავა); **“ეკონომიკური განვითარებისა და პროგნოზირების პრობლემები”**, თბილისი, “უნივერსალი”, 2004 (პროფესორი რამაზ აბესაძე, პროფესორი როლანდ სარჩიმელია, ემკ ნანული არევაძე, მედეა მელაშვილი); **“მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში”**. თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2008 (პროფესორი რამაზ აბესაძე, ემკ ეთერ კაკულია); “**საბაზრო ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა**”, თბილისი, “მეცნიერება”, 2003 (პროფესორი თინათინ ჩხეიძე); **“ქვეყნის ეკონომიკური განვითარების რეგულირების მექანიზმი და მისი**

პრაქტიკული რეალიზაციის გზები (საქართველოს მაგალითზე)", თბილისი, "მეცნიერება", 2004 (პროფესორი ვახტანგ ბურდული); "საქართველოს მთავრობის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის უსაფრთხოების ასპექტის გაძლიერება", თბილისი "გრიფონი", 2004 (პროფესორი გიორგი ბერულავა); "პოლიტიკური მენეჯმენტის ფილოსოფიურ-სამართლებრივი საკითხები", თბილისი, "პროგრესი", 2003 (პროფესორი ალფრედ კურატაშვილი); "აგროეკონომიკისა და აგრობიზნესის საკითხები", თბილისი, "რუბიკონი", 2003 (პორფესორი მურმან კვარაცხელია); "საერთაშორისო ბიზნესის პორბლემები", თბილისი, "მეცნიერება", 2004 (ემკ რევაზ ჯავახიშვილი); "ინფლაციური პორცესები: შეფასება და რეგულირება (საქართველოს მაგალითზე)" თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2008 (ემკ თეა ლაზარაშვილი, ემკ ლია თოთლაძე); "საგარეო-ეკონომიკური კომპლექსის ფუნქციონირება და განვითარება", თბილისი, "მეცნიერება", 2002 (ემკ იზა ნათელაური); "მეაბრეშუმეობის ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების ღონისძიებები საქართველოში", თბილისი, "უნივერსალი", 2004 (ემკ ლინა დათუნაშვილი); "**Нобелевские лауреаты по экономике и их вклад в развитие экономической науки**", Тбилиси, «Универсал», 2004 (ემკ ნატა დავლაშერიძე); "**აგრარული რეფორმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში**", თბილისი, "მეცნიერება , 2003 (ემკ თ. ქავთარაძე); "**სამრეწველო ფირმის მართვის სრულყოფის აქტუალური საკითხები**", თბილისი, "უნივერსალი", 2004 (ემკ ნუნუ ქისტაური); "**ეკონომეტრიკის მეთოდების გამოყენების საკითხები და ძირითადი ეკონომეტრიკული მოდელები**", თბილისი, "მერიდიანი", 2006 (ემკ მარინე ცუცქირიძე); ეროზიული ნიადაგების

რეკულტივაციის ეკონომიკურ-ეკოლოგიური ეფექტიანობა. თბილისი, 200 7(ემკ ქეთინო ქველაძე) და სხვები.

ეკონომიკის ინსტიტუტში ტრადიციულად დიდი ყურადღება ექცეოდა და ექცევა დისციპლინათშორის კვლევას. მისი დაარსების დღიდანვე გაიშალა მუშაობა ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის შესაქმნელად. 1947 წელს გამოიცა რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ეკონომიკური ტერმინოლოგია, რომლის შექმნაში მონაწილეობდნენ: **პაატა გუგუშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ვასილ ჩანტლაძე, იოსებ ბაჯაძე, ნიკო დგებუაძე, აკაკი კაკაბაძე, ლუარსაბ კარბელაშვილი, აპოლონ ნუცუბიძე, ია ყიფშიძე** და სხვ. (აღნიშნული მუშაობა მიმდინარეობდა ენათმეცნიერებთან თანამშრომლობით).

* * *

დისციპლინათაშორისი კვლევა ინსტიტუტში განსაკუთრებით გააქტიურდა XX საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში. მნიშვნელოვანი შედეგები იქნა მიღებული ეკონომიკურ-მათემატიკური და სისტემური გამოკვლევების მიმართულებით როგორც თეორიულ-მეთოდოლოგიური, ისე პრაქტიკულ-გამოყენებითი კუთხით, წარმატებით მიმდინარეობდა ეკოლოგიის ეკონომიკური პრობლემების კვლევა. იყო ცდა, ინტენსიური გამხდარიყო კვლევა ეკონომიკისა და ფილოსოფიის, ეკონომიკისა და ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და ესთეტიკის საერთო პრობლემებზე. ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობდა მეცნიერების, განათლებისა და ჯანდაცვის ეკონომიკის სფეროებში.

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან ინსტიტუტი აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემის გადაჭრაში. 90-იანი წლებიდან გააქტიურდა ისეთი პრობლემების კვლე-

ვა, რომლებიც დაკავშირებული იყო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ სტაბილურობასა და საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირებასთან. გამოკვლევები საფუძვლად დაედო მთელ რიგ სამთავრობო და საკანონმდებლო დოკუმენტებს, აგრეთვე საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის დაძლევის კონცეფციებს და პროგრამებს. ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით თემატიკაში გამოირჩეოდა ისეთი საკითხები, როგორიცაა: სოციო-კაპიტალიზმის ეკონომიკური საფუძვლები, საბაზრო ურთიერთობების სრულყოფის თეორიული პრობლემები პოსტ-კომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში, ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებანი საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების პირობებში, ეკონომიკური პროგნოზირების თეორიული პრობლემები, საბაზრო ეკონომიკის მოდელები და მაკროეკონომიკური განვითარების ტენდენციები, ფირმის ფუნქციონირების მარკეტინგული სტრუქტურის სრულყოფის მიმართულებები, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და დაცვის ეკონომიკური პრობლემები საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში, რეგიონული ეკონომიკის პრობლემები, საგარეო ეკონომიკური კომპლექსის განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების და მაკროეკონომიკური რეგულირების თეორიული პრობლემები, ეკონომიკური აზრის განვითარებისა და ეკონომიკური ისტორიის, ფინანსების, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის პრობლემები და სხვა.

ინსტიტუტში წლების განმავლობაში ტრადიციად ქცეულმა დისციპლინათშორისმა კვლევებმა და მისმა შედეგებმა მნიშვნელოვანი საფუძველი შექმნა ფართომასშტაბიანი კომპლექსური კვლევების ჩასატარებლად. სწორედ ამან განაპირობა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს

გადაწყვეტილება, აღნიშნულ შედეგებზე დაყრდნობით, მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად, დამუშავებული ყოფილიყო სისტემურად ურთიერთდაკავშირებული ერთიანი კომპლექსური კვლევის ამსახველი ნაშრომი: **"მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები"**. აღსანიშნავია, რომ ამ ნაშრომმა, რომელიც გამოვიდა პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ეგიდითა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. **ვლადიმერ პაპავას**, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. **გიორგი წერეთლის**, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. **ავთანდილ სილაგაძის**, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. **იაკობ მესხიას**, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. **კლიმენტი აჩელაშვილისა** და ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. **იური ანანიაშვილის** ავტორობით, 2004 წელს მიიღო საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. 2008 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. ვლ. პაპავას წიგნმა – "**Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism",** New York: Universe, 2005. – მიიღო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის პრემია.

* * *

სამეცნიერო საქმიანობაში დიდია იმ ოპერატიული კონტაქტების მნიშვნელობა, რომლებიც ყალიბდება მეცნიერ მუშაკებს შორის კონფერენციებზე, დისკუსიებსა და

სხვა შეხვედრებზე. ეკონომიკის ინსტიტუტში მისი დაარსებიდან დღემდე ჩატარდა ყველა რანგის არაერთი სამეცნიერო ღონისძიება; აღსანიშნავია ტრადიციული, საინსტიტუტო, რესპუბლიკური და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები და სიმპოზიუმები (სულ ჩატარდა 100-ზე მეტი სამეცნიერო კონფერენცია და სიმპოზიუმი).

ეკონომიკის ინსტიტუტი წარმოდგენილი იყო სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებზე. 1970 წელს ეკონომიკური ისტორიის V საერთაშორისო კონგრესის (ლენინგრადი) მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებმა: **პაატა გუგუშვილმა, ვასილ ჩანტლაძემ, აპოლონ ნუცუბიძემ, მიხეილ კახეთელიძემ, ბექირბი ხასიამ, სერგო ბუაჩიძემ და ალექსანდრე ბრეგვაძემ.** 1990 წელს ეკონომიკური ისტორიის X საერთაშორისო კონგრესში (ლუვენი, ბელგია) მონაწილეობდა ემდ, პროფესორი **მიხეილ ჯიბუტი.** 1976 წლის შემოდგომაზე ეკონომიკის ინსტიტუტის ბაზაზე მოეწყო საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ერთობლივი სიმპოზიუმი ეკონომიკური მეცნიერების აქტუალურ პრობლემებზე. მასში მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსმა **სტანისლავ შატალინმა,** პროფესორებმა: **ალექსანდრე გრანბერგმა, მიხაილ ლემეშევმა, კირილ ბაგრინოვსკიმ, ავთანდილ გუნიამ** და სხვებმა. 1980 წლის 27 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე ინსტიტუტში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო-საკოორდინაციო თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ მეცნიერები პოლონეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, უნგრეთიდან, ბულგარეთიდან და სხვ. მასში მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსებმა: **ლეონიდ აბალკინმა, ევგენი პრიმაკოვმა, ავთანდილ გუნიამ** და სხვებმა, 1987 წელს ეკონომიკის ინსტიტუტში ჩატარდა საბჭოთა

კავშირ-ამერიკის X სიმპოზიუმი სოფლის მეურნეობის ეკონომიკის პრობლემებზე. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სამმა ქართველმა მეცნიერმა (აკად. **ავთანდილ გუნიამ, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფ. ვახტანგ ბურკაძემ და ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა, დოც. დურსუნ დიასამიძემ**).

გასული საუკუნის 70-იან 80-იან წლებში ფართოდ გაიშალა ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კავშირები საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან. დადებული იყო თანამშრომლობის ხელშეკრულება ბულგარეთის და უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიების ეკონომიკის ინსტი-ტუტებთან. გახშირდა სამეცნიერო მივლინებები საზღვარ-გარეთ. ეკონომიკის ინსტიტუტი 1959 წელს წარმოდ-გენილი იყო სოციოლოგთა მსოფლიო კონგრესზე (**პაატა გუგუშვილი**), 1984 წელს – გერმანიაში (**ქ. ვეიმარი**) ჩატარებულ საერთაშორისო კონგრესზე (**ვლადიმერ პაპავა**), 1986 წელს – ამერიკაში (**ქ. ბოსტონი**) ჩატარებულ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ეკონომისტთა სიმპოზიუმზე (**ავთანდილ გუნია**), 1987 და 1988 წლებში – უნგრეთში სამეცნიერო თათბირებზე (**დურსუნ დიასამიძე**), 1995 წელს – პოლონეთში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების განვითარების შემსწავლელ ეკონომისტთა V მსოფლიო კონგრესზე (**ვლადიმერ პაპავა, თემურ ბერიძე, თამაზ აქუბარდია**), 2000 წელს – ფინეთში VI მსოფლიო კონგრესზე (**ვლადიმერ პაპავა, გიორგი წერეთელი, თემურ ბერიძე, თამაზ აქუბარდია, ილია ზაქარიაძე**), 2004-2010 წლებში – პოლონეში ქ. ლუბლინში გამართულ საერ-თაშორისო კონფერენციებში (**გიორგი წერეთელი, რამაზ აბესაძე, ალფრედ კურატაშვილი, მურმან კვარაცხელია, ნაზირა კაკულია**).

ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონტაქტები საზღვარგარეთის ქვეყნებთან განსაკუთრებით გააქტიურდა 1991 წლიდან. 1991-1994 წლებში ეკონომიკის ინსტიტუტში საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის დელეგაციათა საქმიანი ვიზიტები ტრადიციად იქცა. პერიოდულად ხდებოდა ცნობილი უცხოელი ეკონომისტების მოწვევა ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებთან შესახვედრად. ამგვარი შეხვედრები, როგორც წესი, მთავრდებოდა მათი მოხსენებების განხილვით.

ინსტიტუტის საერთაშორისო კონტაქტებიდან აღსანიშნავია ისიც, რომ მისი თანამშრომლები: **ვლადიმერ პაპავა, გიორგი წერეთელი, თემურ ბერიძე, გივი ბედიანაშვილი, თამაზ აქუბარდია** აქტიურად თანამშრომლობდნენ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკურ კვლევათა საკოორდინაციო ცენტრთან. ისინი დამტკიცებული იყვნენ აღნიშნული ცენტრის ოფიციალურ ექსპერტებად ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკურ პრობლემათა კვლევის სფეროში.

ინსტიტუტს მუდამ ჰქონდა და აქვს მჭიდრო კავშირი ქვეყნის და საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებთან.

ინსტიტუტის თანამშრომლები თავიანთ ძირითად სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად, წლების განმავლობაში ეწეოდნენ და ეწევიან აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას. გარდა ამისა, ინსტიტუტში ხშირად სხვადასხვა დანიშნულების პრაქტიკას გადიოდნენ და გადიან უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები.

* * *

XX საუკუნის 60 – 70-იან წლებში ეკონომიკის ინსტიტუტში ფუნქციონირებდა სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სამი სპეციალიზებული საბჭო. ერთი სადოქტორო (პოლიტიკური ეკონომიისა და სახალხო მეურნეობის ისტორიის სპეციალობით) და ორი საკანდიდატო (1. პოლიტიკური ეკონომიის, სახალხო მეურნეობის ისტორიის, ეკონომიკური აზრის ისტორიის სპეციალობებით და 2. მრეწველობის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სპეციალბით). 1981 წელს მუშაობა დაიწყო ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მიმნიჭებელმა სპეციალიზებულმა საბჭომ, სპეციალობით: 08.00.05 – სახალხო მეურნეობისა და მისი დარგების ეკონომიკა, დაგეგმვა და მართვის ორგანიზაცია (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა). 1992 წლიდან 2006 წლამდე ინსტიტუტში მუშაობდა სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო-საატესტაციო საბჭო შემდეგი სპეციალობებით: 08.00.01 – "პოლიტიკური ეკონომია (ეკონომიკსი), ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია", 08.00.03 – "მაკროეკონომიკა", 08.00.04 – "ეკონომეტრიკა" და 08.00.09 – "ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის ეკონომიკა" (სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეები იყვნენ აკადემიკოსები **პაატა გუგუშვილი** და **ავთანდილ გუნია**, პროფესორები **ვლადიმერ პაპავა**, **გიორგი წერეთელი** და **რამაზ აბესაძე**).

* * *

ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კადრებით შევსება ძირითადად ხდებოდა მისი ასპირანტურის წარმატებით კურსდამთავრებულებით, პირველი ასპირანტები იყვნენ: **დიმიტრი ქორიძე, ნიკანდრო ჯაკობია და ქეთევან**

**დადიანი** (საქართველოში პირველი მეცნიერებათა კანდიდატი ქალი ეკონომიკურ მეცნიერებაში).

დიდია ეკონომიკის ინსტიტუტის დამსახურება სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების აღზრდის საქმეში. ინსტიტუტში მისი დაარსების დღიდან 2006 წლამდე ფუნქციონირებდა ასპირანტურა და სადისერტაციო საბჭოები. ამ გზით ინსტიტუტმა ქვეყანას აღუზარდა მრავალი მაღალკვალიფიციური ეკონომისტი და იურისტი, რომლებიც წარმატებით საქმიანობდნენ და საქმიანობენ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ეკონომიკის სხვადასხვა დარგში, სამართალდამცავ ორგანოებში, პარლამენტში, ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში და სხვ. ინსტიტუტი ამჟამადაც აგრძელებს ახალგაზრდა კადრების აღზრდაში მონაწილეობის მიღებას, აქვს რა მჭიდრო ურთიერთობა ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელთან (მაგალითად, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტთან, საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტთან, საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ-ბრიტანულ უნივერსიტეტთან და სხვ.). საერთოდ, ინსტიტუტს მჭიდრო და საქმიანი ურთიერთობა აქვს ქვეყნის წამყვან მეცნიერ-ეკონომისტებთან. ინსტიტუტის სადისკუსიო დარბაზისა და ჟურნალ “ეკონომისტის” სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან ცნობილი მეცნიერები: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები: **ლეო ჩიქავა და ავთანდილ სილაგაძე, სოფლის მეურნეობის აკადემიის აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: იური ანანიაშვილი,**

**როზეტა ასათიანი, კლიმენტი აჩელაშვილი, თემურ ბერიძე, მიხეილ თოქმაზიშვილი, რევაზ კაკულია, თეიმურაზ კანდელაკი, იაკობ მესხია, ელგუჯა მექვაბიშვილი, უშანგი სამადაშვილი, ავთანდილ სულაბერიძე, თემურ შენგელია, ეთერ ხარაიშვილი, მიხეილ ჯიბუტი; თსუ სრული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი ნოდარ ხადური** და სხვ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ინსტიტუტის დამსახურება ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების კადრებით უზრუნველყოფის საქმეში. ინსტიტუტის კედლებში აღიზარდნენ პარლამენტის, მთავრობის, სამინისტროებისა და უწყებების არაერთი ყოფილი და ამჟამინდელი პასუხისმგებელი თანამშრომელი. მათ რიცხვს მიეკუთვნება: **ვლადიმერ პაპავა, მიხეილ ჯიბუტი, ზურაბ სოსელია, თეიმურაზ ბერიძე, ჯონი ხეცურიანი, კონსტანტინე კემულარია, მიხეილ ჭკუასელი, თამაზ ჩიკვაიძე, რევაზ გოგოხია, თამაზ აქუბარდია, ნოდარ ულუმბერაშვილი, ილია ზაქარიაძე, გია თოფურია, ანზორ თოთაძე, ელენე ჩიქოვანი, მარინა მუჩიაშვილი, მიხეილ თოქმაზიშვილი, მინდია უგრეხელიძე, იაკობ ფუტკარაძე, ბესარიონ ზოიძე, დავით სულაქველიძე, ლილი გვენეტაძე, ციალა ბენაშვილი** და ბევრი სხვა.

გარდა პაატა გუგუშვილისა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არაერთი წევრი და წევრ-კორესპონდენტი, იყო და არის ინსტიტუტის თანამშრომელი, ან აქტიურად მონაწილეობდა და მონაწილეობს მის სამეცნიერო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კერძოდ, აკადემიკოსები: **ვასილ ჩანტლაძე, ირაკლი მიქელაძე, ვალერიან მელქაძე, ისიდორე დოლიძე**; წევრ-კორესპონდენტები: **თინათინ წერეთელი, ლეო ჩიქავა, ვლადიმერ პაპავა, ავთანდილ სილაგაძე, ჯონი ხეცურიანი.**

***

ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორები მისი დაარსებიდან იყვნენ: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **პაატა გუგუშვილი** (1944–1976), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ავთანდილ გუნია** (1976–1991), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ვლადიმერ პაპავა** (1991–1996), ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გიორგი წერეთელი** (1996–2008). ამჟამად ინსტიტუტის დირექტორია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **რამაზ აბესაძე** (2008 წლიდან დღემდე).

# პაატა გუგუშვილი



პაატა გუგუშვილი დაიბადა 1905 წლის 28 სექტემბერს სოფელ კოდორში (აბაშის რ-ნი).

1917–1923 წლებში სწავლობდა ფოთისა და ქუთაისის გიმნაზიებში. 1923 წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომლის სოციალურ-

ეკონომიკური ფაკულტეტი ეკონომისტ-ფინანსისტის სპეციალობით დაამთავრა 1927 წელს.

1930 წელს დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იმავე წელს მას მიენიჭა დოცენტის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება, 1938 წელს კი, დისერტაციის დაუცველად, პროფესორების **ფ. გოგიჩაიშვილის, გ. გეხტმანის, მ. პოლიექტოვის** წარდგინებით, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი (უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ). 1940 წელს პ. გუგუშვილმა წარმატებით დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, რომელსაც გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერებმა **ივ. ჯავახიშვილმა, ნ. ბერძენიშვილმა და ფ. გოგიჩაიშვილმა** (რომლებიც დისერტაციის ოფიციალური რეცენზენტ-ოპონენტები იყვნენ) დიდი შეფასება მისცეს.

1940–1945 წლებში აკად. პ. გუგუშვილი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის ისტორიისა და პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგე.

მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლიან დღეებში – 1944 წელს აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ინიციატივით, აქტიური ძალისხმევითა და შესაბამისი ორგანოების გადაწყვეტილებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნა ეკონომიკის ინსტიტუტი, რომელსაც დაარსებიდან 1976 წლამდე, 32 წლის განმავლობაში, თვითონვე ედგა სათავეში. 1948 – 1974 წლებში იყო ამავე ინსტიტუტთან არსებული სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციების დაცვის სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

1961 წელს პაატა გუგუშვილი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1974 წელს – აკადემიკოსად.

პ. გუგუშვილი 30-იანი წლებიდან იყო ქართული ჟურნალ “ეკონომისტი”-ს რედკოლეგიის წევრი, ხოლო 1958 წლიდან, 15 წლის განმავლობაში, მისი ინიციატივით აღდგენილი ჟურნალ “საქართველოს ეკონომისტის” მთავარი რედაქტორი. იგი აქტიურ მუშაობას ეწეოდა, როგორც ჟურნალ “საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნეს” (ეკონომიკისა და სამართლის სერიების) რედკოლეგიის წევრი.

პ. გუგუშვილი 1930–1967 წლებში მრავალმხრივ მეცნიერულ მოღვაწეობასთან შესანიშნავად ათავსებდა ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 100-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. იყო 90-მდე საკვალიფიკაციო ნაშრომის რეცენზენტ-ოპონენტი.

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მეცნიერული თვალსაწიერი მეტად ფართოა. მისი ავტორობით გამოქვეყნებულია 500-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან 50-ზე მეტი ცალკე წიგნაადაა გამოცემული.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მონოგრაფიების შვიდტომეული – “საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XXსს.”, რომელშიც, გარდა იმისა, რომ წარმოდგენილია უმდიდრესი მასალა საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების შესახებ, ასევე გამოვლენილია ეკონომიკური ურთიერთობების არაერთი, მანამდე მეცნიერებისათვის შეუმჩნეველი მხარე და მოცემულია მათი სიღრმისეული ანალიზი.

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი რომ ფართო დიაპაზონის მეცნიერი იყო, ამაზე მეტყველებს იმ ნაშრომთა

არასრული ჩამონათვალი, რომელიც ეხება ისტორიის, ჟურნალისტიკის, დემოგრაფიის და სოციოლოგიის აქტუალურ პრობლემებს. აი ისინიც: **"ქართული წიგნი 1629-1929წწ."; "ქართული ჟურნალისტიკა"; "სოციოლოგიური ეტიუდები"; "საქართველოს მოსახლეობა 160 წლის (1800-1960) მანძილზე"; "საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საკითხები", "მოსახლეობა, ოჯახი, შვილიანობა"; "დემოგრაფიის ნარკვევები"** და სხვ., რომელთაც, ისე, როგორც მისმა ყველა ნაშრომმა, სპეციალისტთა ფართო გამოხმაურება და მაღალი შეფასება დაიმსახურა.

1983 წელს აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი დაჯილდოვდა საქართველოს პროფკავშირის პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, როგორც პროფკავშირების სახალხო უნივერსიტეტის რექტორი. 1985 წელს დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი გარდაიცვალა 1987 წლის 27 თებერვალს.

# ავთანდილ გუნია



ავთანდილ გუნია დაიბადა 1912 წლის 27 სექტემბერს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში.

1928 წელს დაამთავრა ბაქოს სამხედრო სასწავლებელი.

1928-1932 წწ. სწავლობდა თბილისის შ. ელიავას სახელობის რკინიგზის ტექნიკუმში.

1934 წელს ჩაირიცხა და 1939 წელს მოსკოვში დაამთავრა პლეხანოვის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი საქონელმცოდნის სპეციალობით.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დაინიშნა ვაჭრობის ტექნიკუმის დირექტორად, თბილისში.

1940 წელს გაგზავნილ იქნა მოსკოვში, უმაღლეს პარტიულ სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1942 წელს.

1942-1952 წლებში მუშაობდა სხვადასხვა პარტიულ თანამდებობაზე საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის აპარატში.

1952-1953 წლებში იყო საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობათა სამმართველოს უფროსი.

1953 წელს საქართველოს კომპარტიის ცკ პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

1953-1957 წლებში იყო საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი.

1957 წლის ბოლოს გადაყვანილ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში განყოფილების გამგედ. 1960 წლიდან იყო ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო მუშაობის დარგში, ხოლო 1976 წლიდან – დირექტორი.

1950 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1962 წელს – სადოქტორო დისერტაცია. 1966 წელს მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება.

1967 წლიდან იგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1979 წლიდან კი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

1980 წელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ავთანდილ გუნია 160-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მათ შორის 20 მონოგრაფიის. მის შრომებში ასახულია ეკონომიკური თეორიის, მრეწველობის ეკონო-

მიკის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის და საბაზრო ეკონომიკის აქტუალური პრობლემები.

მათგან აღსანიშნავია: “Экономические проблемы научно-технического прогресса в Грузии”, Тбилиси, «мецниереба», 1983; “საბაზრო ურთიერთობათა მექანიზმის ფორმირების საკითხები”, თბილისი “მეცნიერება”, 1991; “მოსახლეობის ცხოვრების დონე – ეკონომიკური განვითარების ამსახველი ფაქტორი”, ჟ. “მაცნე” ეკონომიკის სერია, 1993, ტ. 1, №1; “ბაზარი (საბაზრო ურთიერთობები როგორც ეკონომიკური კატეგორია)” ჟ. “მაცნე” ეკონომიკის სერია, 1995, ტ. 1, №1.

დიდია მისი წვლილი სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 20-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს მისი პედაგოგიური საქმიანობა. იგი წლების განმავლობაში იყო კათედრის გამგე საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში და წარმატებით კითხულობდა ლექციებს ამავე უმაღლეს სასწავლებელში.

აკადემიკოს ავთანდილ გუნიას ნაყოფიერი მუშაობა არაერთგზის აღინიშნა მაღალი სახელმწიფო ჯილდოებით და ფულადი პრემიებით.

აკადემიკოსი ავთანდილ გუნია გარდაიცვალა 1997 წლის 2 ოქტომბერს.

# ვლადიმერ პაპავა



ვლადიმერ პაპავა დაიბადა 1955 წლის 25 მარტს თბილისში, პედაგოგების ოჯახში.

1972 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის მე-15 საშუალო სკოლა.

1972 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტში ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობით, რომლის სრული კურსიც წარჩინებით დაამთავრა 1977 წელს.

1982 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დი-სერტაცია (მოსკოვში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ცენ-ტრალურ ეკონომიკურ-მათემატიკურ ინსტიტუტში), 1989 წელს კი – სადოქტორო დისერტაცია.

ვლადიმერ პაპავა 1991 წლიდან ეწევოდა დიდ სამეცნიერო, ორგანიზატორულ და სახელმწიფო მოღვაწეობას. იგი 1991-1996 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი; 1994-2000 წლებში – საქართველოს ეკონომიკის მინისტრი, ხოლო 2004-2008 წლებში – საქართველოს პარლამენტის წევრი. 1997 წლიდან არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. იგი არის საქართველოს განათლების სამინისტროს რესპუბლიკური პრემიის (1987), მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სახელმწიფო პრემიის (2004) და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის პრემიის (2008) ლაურეატი.

ვლ. პაპავა არის ავტორი 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, რომლებიც ეძღვნება ეკონომიკური თეორიის, ეკონომიკის მათემატიკური მოდელირების, მაკროეკონომიკის, ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის, საქართველოსა და კავკასიის ეკონომიკურ პრობლემებს. მათგან აღსანიშნავია: “**Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism”,** New York: Universe, 2005; **”პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა”**, თბილისი, ”პდპ”, 2002; **”ცენტრალური კავკასია (გეოპოლიტეკონომიური ნარკვევი)”**, თბილისი, ”სიახლე”, 2009. და სხვა.

ვლ. პაპავას ხელმძღვანელობით 10 დისერტანტს მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ამჟამად ვლადიმერ (ლადო) პაპავა არის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს სტრატეგიისა

და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის (აშშ) ცენტრალური აზია-კავკასიის ინსტიტუტის კვლევისა და პოლიტიკის ტრანსატლანტიკური გაერთიანებული ცენტრის ასოცირებული უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

ვლადიმერ პაპავა ამჟამადაც ეწევა ნაყოფიერ საზოგადოებრივ, სამეცნიერო-კვლევით და პედაგოგიურ მოღვაწეობას.

# გიორგი წერეთელი



ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი შაქროს ძე წერეთელი დაიბადა 1952 წელს 20 იანვარს ქ, ლანჩხუთში.

1969 წელს წარმატებით დაამთავრა ვ.მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა, ხოლო 1975 წელს – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სა-ხელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობით.

1996 – 2008 წლებში იყო საქართველოს მეცნიერება-თა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონო-მიკის ინსტიტუტის დირექტორი.

1980 წლიდან იგი იწყებს მოღვაწეობას საქართვე-ლოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელო-ბის ეკონომიკის ინსტიტუტში, სადაც ის მუშაობდა უმცროს, უფროს, წამყვან, მთავარ მეცნიერ თანამშრომ-ლად, დირექტორის მოადგილედ, დირექტორის პირველ მოადგილედ და 1996-2008 წლებში (გარდაცვალებამდე) იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუ-შვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექ-ტორი.

გამოქვეყნებული აქვს 160-ზე მეტი სამეცნიერო ნაშ-რომი. მათ შორის 20 წიგნი (5 თანაავტორობით). ერთ-ერთ მონოგრაფიას – **"ბუნებათსარგებლობის პროცესების ოპტიმიზაციის ეკონომიკური საკითხები"** 1984 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სპეცია-ლური მედალი და პრემია ახალგაზრდა მეცნიერთა შო-რის. 2003 წელს მიღებულ აქვს საქართველოს სახელმწი-ფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

გიორგი წერეთელის სამეცნიერო ნაშრომები ძირითა-დად ეძღვნება ეკონომიკურ-მათემატიკური, ეკონომიკურ-ეკოლოგიური, მაკროეკონომიკის, ეკონომიკური თეორიისა და სხვა პრობლემების კვლევას. მისი მონოგრაფიებიდან აღსანიშნავია: **"გარემო ბუნების დაცვის პროცესთა ეკო-ნომიკური რეგულირების საკითხები საბაზრო ურთიერ-თობების პირობებში". თბილისი, "მეცნიერება", 2003; "პოსტკომუნისტურ ქვეყანაში უმუშევრობით გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური შედეგების განსაზღვრისა და შემცირების გზები (საქართველოს მაგალითზე)". თბი-ლისი, "მეცნიერება", 2004 (თანაავტორობით); "ეკონო-მიკურ-მათემატიკური მეთოდების საფუძვლები და მათი**

ეკონომიკაში გამოყენების ზოგიერთი პრაქტიკული მაგალითი". თბილისი, "მეცნიერება", 2000 და სხვ.

იგი, სამეცნიერო მუშაობასთან ერთად, ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას. 1996-2003 წლებში იყო საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს და მისი დარგობრივი ეკონომიკური სექციის წევრი, სეს-ის სანოსტრიფიკაციო კომისიის წევრი. 1998-2001 წლებში იყო საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოსთან არსებული ეკონომიკის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; 1996-2003 წლებში საქართველოს ეკონომიკის, ფინანსთა, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკის სამინისტროებთან, ანტიმონოპოლიურ სამსახურთან და კონტროლის პალატასთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოების წევრი; 1998-2006 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ეკონომიკის საკოორდინაციო-სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; 2000 წლიდან გარდაცვალებამდე საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტთა ასოციაციის თანათავმჯდომარე; 2001-2003 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტთან არსებული სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე; 2003-2006 წლებში საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს და მისი პრეზიდიუმის წევრი, ამავე საბჭოს ეკონომიკის დარგობრივი სექციის თავმჯდომარე; 2004 წლიდან გარდაცვალებამდე საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ეკონომიკის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი.

გიორგი წერეთელი, ინტენსიურ მეცნიერულ და მეცნიერულ-ორგანიზაციულ მუშაობასთან ერთად, ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტებში. მას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის რესპუბლიკის მაღალკვალიფიციური კადრების

მომზადებაში. გარდა იმისა, რომ აღზრდილი ჰყავს სტუდენტ-ეკონომისტთა რამდენიმე თაობა, მისი, როგორც დირექტორის, საერთო ხელმძღვანელობით მომზადდა ხუთ ათეულზე მეტი სამეცნიერო ხარისხის მქონე მაღალკვალიფიციური ეკონომისტი, ხოლო მისი უშუალო ხელმძღვანელობით – ორი მეცნიერებათა დოქტორი და ხუთი მეცნიერებათა კანდიდატი.

გიორგი წერეთელი საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებასა და ეკონომიკის დარგში მიმდინარე რეფორმების განხორციელებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის 2001 წელს დაჯილდოვდა საქართველოს ღირსების ორდენით.

პროფესორი გიორგი წერეთელი გარდაიცვალა 2008 წლის 12 ივნისს.

# რამაზ აბესაძე



ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რამაზ აბესაძე დაიბადა 1952 წლის 14 მაისს ქ. ტყიბულში, პედაგოგების ოჯახში.

1969 წელს, თბილისის 54-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1974 წელს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციით.

იმავე წელს მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში, სადაც იგი იყო უფროსი ლაბორანტი, მეცნი-

ერი თანამშრომლი (1976), უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1986), წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი (1989), ლაბორატორიის გამგე (1991), განყოფილების გამგე (1997), დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (2002). ინსტიტუტის დირექტორად არჩეულ იქნა 2008 წლის 3 ივლისს.

1985 წელს მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, 1999 წელს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, 1989 წელს უფროსი მეცნიერ თანამშრომლის, 1998 წელს დოცენტის, ხოლო 2003 წელს პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება მაკროეკონომიკის სპეციალობით.

პედაგოგიური საქმიანობა დაიწყო 1987 წელს ჯერ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ხოლო შემდეგ საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტში. 1995 წლიდან დღემდე პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მაკროეკონომიკის კათედრაზე. ამავე დროს არის საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი.

რამაზ აბესაძე 2001-2003 წლებში იყო ინსტიტუტთან არსებული სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო 2003-2007 წლებში თავმჯდომარე.

პროფ. რამაზ აბესაძეს გამოქვეყნებული აქვს 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის 6 მონოგრაფია. თავდაპირველად მისი სამეცნიერო კვლევის საგანს წარმოადგენდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და სამრეწველო წარმოების, განსაკუთრებით, ელექტროენერგეტიკული წარმოებისა და მოხმარების ეკონომიკური პრობლემები, რომელსაც მან მიუძღვნა მონოგრაფია – **“Научно-технический прогресс и эффэктивность производства и**

**потребления электроэнергии в Грузии**". Тб., Мецниереба, 1985. შემდეგ ავტორის კვლევის საგანი ფართოვდება ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის ეკონომიკური პრობლემებით. ამ პრობლემებთან დაკავშირებით აღსანიშნავია მისი მონოგრაფია – **"ეკონომიკური განვითარების ენერგოეკოლოგიური ფაქტორი და ენერგეტიკული ბაზრის ფორმირების მაკროეკონომიკური მექანიზმი საქართველოში"** (თბ., "მეცნიერება", 2004). ამჟამად პროფ. რამაზ აბესაძის სამეცნიერო კვლევის სფერო მოიცავს ეკონომიკური განვითარებისა და პოსტკომუნისტურ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ პრობლემებს, რასაც ეძღვნება მისი არაერთი სამეცნიერო სტატია და წიგნები: **"ეკონომიკური განვითარება". თბ., "მერიდიანი", 2006** და **"მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში. თბ., „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა", 2008 (თანაავტორობით).** პირველი ნაშრომის საფუძველზე თსუ მაკროეკონომიკის კათედრის ინიციატივით, პროფ. რ. აბესაძის მიერ მომზადდა ლექციების კურსი და როგორც საგანი, იკითხება თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ეკონომიკური მიმართულების სტუდენტებისათვის.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. რ. აბესაძე არის საერთაშორისო-ანალიტიკური ჟურნალის – **"ეკონომისტისა"** და პერიოდული გამოცემის – **"პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულის"** დაარსების ინიციატორი და მთავარი რედაქტორი. მისივე ინიციატივით პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტში დაარსდა „დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედიის მთავარი რედაქცია", რომელიც შეუდგა „დიდი ქართული ეკონომიკური ენციკ-

ლოპედიის“ გამოსაცემად მომზადებას. მისივე ინიციატივით და სამეცნიერო საბჭოს მხარდაჭერით ინსტიტუტში ასევე განხორციელდა სხვა არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება (დაარსდა ინსტიტუტის გამომცემლობა, გაიხსნა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის კაბინეტი, დაარსდა სადისკუსიო დარბაზი, სასწავლო და საკონსულტაციო-საექსპერტო ცენტრი, ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის დაწესდა აკადემიკოს პ. გუგუშვილის, აკადემიკოს ა. გუნიას, პროფესორ გ. წერეთლის სამეცნიერო პრემიები, შეიქმნა ახალი სამსახურები, რეკომენდაციების შემმუშავებელი კომისია და სხვ.).

პროფესორ რამაზ აბესაძეს საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებასა და ეკონომიკის დარგში მიმდინარე რეფორმების განხორციელებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის 2001 წელს გამოეცხადა საქართველოს პრეზიდენტის მადლობა, ხოლო 2002 წელს დაჯილდოვდა საქართველოს ღირსების ორდენით.

***

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეები 2006 წლამდე იყვნენ ინსტიტუტის დირექტორები. 2007 წლიდან სამეცნიერო საბჭო ცალკე აირჩევა. ამჟამად სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა პროფესორი **თინათინ ჩხეიძე.**

ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეები იყვნენ: აკადემიკოსი **ავთანდილ გუნია,** ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, **თენგიზ ხოშტარია,** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. **ლეო ჩიქავა,** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **თამაზ ჩიკვაიძე,** ეკონო-

მიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გიორგი წერეთელი,** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **თეიმურაზ ბერიძე,** ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **თამაზ აქუბარდია,** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **რამაზ აბესაძე.** ამჟამად ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა **ზურაბ წერეთელი.**

ინსტიტუტის სწავლული მდივნები იყვნენ: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **აკაკი კაკაბაძე, კირილე ღოღობერიძე,** ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **თენგიზ ხოშტარია,** ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **გრიგოლ ქარჩავა, კოტე ბაქრაძე,** ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **მამულო კეკელიძე,** ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **ვალიკო ჯიბლაძე,** ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **ლეილა ნოდია,** ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **ზინა გვაჯავა,** ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **ლამარა მინდორაშვილი,** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი **ჯამლეთ შათირიშვილი,** ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **ნოდარ ულუმბერაშვილი,** ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **თამაზ აქუბარდია,** ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **ნანა მიჩელაშვილი,** ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **ლინა დათუნაშვილი.**

ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგეები იყვნენ: **ქეთევან ასათიანი, მარი კაპანელი.** ამჟამად ბიბლიოთეკის გამგეა **ელენე დათუკიშვილი.**

ინსტიტუტის მთავარი ბუღალტრები იყვნენ: **ა. პოდკოლზინა, ნინო გოგოლაძე, ნუცა ჯღამაძე, ზურაბ ჭიჭიკოშვილი, მარგალიტა კარგარეთელი.** ამჟამად ინსტიტუტის მთავარი ბუღალტერია **მაია ჭინჭარაული.**

2006 წელს პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი გახდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

ამჟამად (2010 წლის მარტიდან), ინსტიტუტის სტრუქტურას აქვს შემდეგი სახე:

ინსტიტუტის დირექცია (**ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. რამაზ აბესაძე, მოადგილე – ზურაბ წერეთელი**).

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო (თავმჯდომარე – პროფესორი **თინა ჩხეიძე,** მოადგილეები: აკადემიური დოქტორები – ნანა ბიბილაშვილი, **თეა ლაზარაშვილი,** სწავლული მდივანი – აკადემიური დოქტორი **ლინა დათუნაშვილი**).

სამეცნიერო კვლევითი განყოფილებები:

1. ეკონომიკური თეორიის (ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. **ალფრედ კურატაშვილი**);
2. მაკროეკონომიკის (აკადემიური დოქტორი **ნანული არევაძე**);
3. ბიზნესის პრობლემათა კვლევის (ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. **გიორგი ბერულავა**);
4. საჯარო ეკონომიკის (აკადემიური დოქტორი **თეა ლაზარაშვილი**);
5. ინოვაციებისა და საერთაშორისო კონკურენციის (აკადემიური დოქტორი **იზა ნათელაური**);
6. სექტორული და რეგიონული ეკონომიკის (**ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი ვახტანგ ბურდული**);
7. მდგრადი ეკონომიკური განვითარების განყოფილება (აკადემიური დოქტორი **მამუკა ხუსკივაძე**).

ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დამხმარე სამსახურები:

1. სამეცნიერო ბიბლიოთეკა (**ელენე დათუკიშვილი**);
2. გამომცემლობა (**ნატო ჩხეიძე-აბესაძე**);

3. საინფორმაციო უზრუნველყოფისა და ეკონომიკური ანალიზის სამსახური (ეკონომიკის აკადემიური დოქტორი **ნანა ბიბილაშვილი**);
4. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის სამსახური;
5. სასწავლო და საკონსულტაციო-საექსპერტო ცენტრი;
6. ბუღალტერია (**მაია ჭინჭარაული**);
7. სამეურნეო, სარემონტო-საექსპლოატაციო და დაცვის სამსახური (**თამაზ გველესიანი**);

ინსტიტუტი თავისი არსებობის 65 წლისთავზე აქტიურად საქმიანობს და ეძებს გზებს ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევების გადაწყვეტაში თავისი წვლილის შესატანად. სამეცნიერო საქმიანობის გაძლიერების მიზნით, ინსტიტუტში 2009 წლიდან დაარსდა ჩვენი სახელოვანი მეცნიერების: **აკადემიკოს პაატა გუგუშვილის, აკადემიკოს ავთანდილ გუნიასა და პროფესორ გიორგი წერეთლის სახელობის პრემიები,** რომლებიც მიენიჭება ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებს საუკეთესო წლიური მონოგრაფიის, სტატიისა და გეგმური ნაშრომისათვის. აკადემიკოს პაატა გუგუშვილის პრემიის პირველი ლაურეატი 2009 წელს გახდა პროფესორი გიორგი პაპავა მონოგრაფიისათვის – **"Методология познания качеств реалий смешанной рыночной экономики и паралогизмы", Стокгольм, CA&CCPress, 2009.**

სამეცნიერო დონის ამაღლების მიზნით 2008 წელს დაარსდა პერიოდული გამოცემა: **"პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული"**, რომლის I-II ტომი უკვე გამოვიდა. 2009 წელს დაფუძნდა ინსტიტუტის **სადისკუსიო დარბაზი**, რომელშიც მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ქვეყნის მეცნიერ

და პრაქტიკოს ეკონომისტთა საუკეთესო წარმომადგენლები.

ინსტიტუტში დაარსდა **გამომცემლობა**, რომელსაც შესწევს უნარი, გასწიოს ნებისმიერი საგამომცემლო საქმიანობა. **დაფუძნდა სასწავლო და საკონსულტაციო-საექსპერტო ცენტრი.** რომელიც ეკონომიკურ და იურიდიულ საკითხებში კვალიფიციურ დახმარებას გაუწევს დაინტერესებულ პირებს, ფირმებს, სახელმწიფო მოხელეებსა. ცენტრში დაგეგმილია ერთ წლამდე ხანგრძლივობის სასწავლო პროგრამების განახორციელება.

შეიქმნა "რეკომენდაციების შემმუშავებელი კომისია". რომელიც მეცნიერთა შრომების საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და წინადადებებს, რომელიც გამოიცემა წიგნად და დაეგზავნება შესაბამის ორგანოებსა და ორგანიზაციებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **"დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედიის"** (მთავარი რედაქტორი ემდ, პროფ. **რამაზ აბესაძე**) გამოცემის გადაწყვეტილება. ამ მიზნით 2009 წელს შეიქმნა და შეუდგა ფუნქციონირებას **"დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედიის მთავარი რედაქცია".**

დიდია ეკონომიკის ინსტიტუტის როლი ქართული ეკონომიკის პუბლიცისტიკის განვითარებაში. 1958 წელს აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ინიციატივითა და რედაქტორობით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ბაზაზე დაარსდა ჟურნალი - "საქართველოს ეკონომისტი", რომელიც მანამდე არსებული ქართული ეკონომიკური ჟურნალების, მათ შორის, საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროს გამომავალი ჟურნალის – **"ეკონომისტის"** (რომლის პირველი ნომერი 1918 წლის 13 სექტემბერს გამოვიდა) მემკვიდრედ მოიაზრებოდა.

2008 წელს პროფესორ **რამაზ აბესაძის** ინიციატივით და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით დაარსდა საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი **"ეკონომისტი"**, რომელიც აგრძელებს ზემოთ ხსენებული ჟურნალების მემკვიდრეობას. მისი მთავარი მიზანია ეკონომიკური მეცნიერებისა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის ხელშეწყობა, ეკონომისტის, როგორც პროფესიის, პოპულარიზაცია, ფართო საზოგადოებისათვის ინსტიტუტის საქმიანობის გაცნობა, მონაწილეობის მიღება ქვეყანაში სამეცნიერო კადრების აღზრდაში და სხვ.

* * *

ვამთავრებთ რა ინსტიტუტის მოკლე ისტორიის გადმოცემას, გვინდა აღვნიშნოთ, რომ იგი, რასაკვირველია, უნაკლო ვერ იქნება. ალბათ, ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტი და მოვლენა ყურადღების მიღმა დარჩა, თუნდაც საარქივო მონაცემების უქონლობის გამო, მაგრამ ერთი რამ უდავოა, ჩანს, რომ ინსტიტუტმა სახელოვანი გზა განვლო და ახლაც ღირსეულად აგრძელებს წინაპართა ტრადიციებს. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ 2009 წლის შედეგების მიხედვით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ, კანონმდებლობის შესაბამისად, ინსტიტუტი გამარჯვებულად იქნა აღიარებული ქვეყანაში საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიმართულების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შორის, რაც დიდი საჩუქარია ინსტიტუტის წინაპართათვის, განსაკუთრებით, მისი დამაარსებლის, აკადემიკოს პაატა გუგუშვილისათვის, მისი დაბადების 105-ე წლისთავთან დაკავშირებით.

შემდგომი განვითარებისათვის საჭირო პოტენციალიც სახეზეა. მთავარია, კიდევ უფრო მეტი შემართებითა

და მონდომებით ვიღვაწოთ ახალი წარმატებების მისაღწევად. ოპტიმიზმის საფუძველი კი გვაქვს.

გამარჯვებებით და წინსვლით აღსავსე გზა ვუსურვოთ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტს...

* * *

ამ წიგნში წარმოდგენილი მოკლე ბიოგრაფიული და ფოტო მასალა მისი შემადგენელი ორგანული ნაწილია. იგი ჩვენს თვალწინ აცოცხლებს იმ ადამიანებს, რომელთაც თავდაუზოგავად იშრომეს ინსტიტუტის წინსვლისთვის და მისი სახელი დღემდე მოიტანეს. იგი ასევე მოგვითხრობს მათზეც, ვინც წარმატებით მიღო წინაპართა ესტაფეტა და ღირსეულად აგრძელებს მათ საქმეებს. თაობების ეს ერთიანობა მართლაც მრავლისმეტყველია ...

## რამაზ აბესაძე



### დირექტორი
### მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

დაბადებული 1952. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ინსტიტუტში მუშაობს 1974 წლიდან უმცროს, უფროს და წამყვან მეცნიერ თანამშრომლად, განყოფილების გამგედ, დირექტორის მოადგილედ. არის 80 გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მათ შორის 7 წიგნის. ეწევა აქტიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (იხ. გვ. 44)

## ვლადიმერ პაპავა



### მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

დაბადებული 1955 საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ინსტიტუტში მუშაობს უფროს მეცნიერ თანამშრომლად (1989-1991), დირექტორად (1991-1996). 2008 წლიდან მთავარ მეცნიერ თანამშრომლად. არის 200-ზე მეტი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. ეწევა აქტიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. მიღებული აქვს სამეცნიერო პრემიები და სახელმწიფო ჯილდოები (იხ. გვ. 37).

## თინათინ ჩხეიძე



### სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე
### უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

დაბადებული 1928. მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ინსტიტუტში მუშაობს 1991 წლიდან უფროსი მეცნიერი თანამშრომელის, სწავლული მდივნისა და დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე. არის 80 გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მათ შორის 6 წიგნის. ეწეოდა აქტიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

## ზურაბ წერეთელი

### დირექტორის მოადგილე



დაბადებული 1955. ინსტიტუტში მუშაობს 2008 წლიდან. გამოქვეყნებული აქვს 8-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მუშაობდა საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში (1987-1998) და ეკონომიკის სამინისტროში (1998-2008) სამმართველოს უფროსად და დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად. მიღებული აქვს საქართველოს პრეზიდენტის მადლობა (2000)

## ნანა ბიბილაშვილი



### სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე
### ეკონომიკური ანალიზის სამსახურის უფროსი
### უფ. მეც. თანამშრომელი

დაბადებული 1975 წ. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობს 1999 წლიდან. იყო ინსტიტუტის განყოფილების გამგე, საქართველოს პრეზიდენტის III ხარისხის სტიპენდიანტი. არის 30 გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

## თეა ლაზარაშვილი



### სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
### საჯარო ეკონომიკის განყოფილების გამგე

დაბადებული 1969. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობს 1988 წლიდან. იყო პრეზიდენტის III ხარისხის სტიპენდიანტი. არის საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი. გამოქვეყნებული აქვს 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

## ლინა დათუნაშვილი



### სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი
### უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

დაბადებული 1941. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობს 1973 წლიდან. იყო ინსტიტუტის სწავლული მდივანი (2002-2006). არის 55 გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის 4 მონოგრაფიის. დაჯილდოებულია ღირსების მედლით.

## ალფრედ კურატაშვილი

### ეკონომიკური თეორიის განყოფილების გამგე
### სამეცნიერო საბჭოს წევრი



დაბადებული 1941. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ინსტიტუტში მუშაობს 1991 წლიდან. თესაუ-ს სრული პროფესორი და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე. არის 220 გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 16 მონოგრაფიის ავტორი.

## ვახტანგ ბურდული



### მეწარმეობის განვითარებისა და რეგიონული ეკონომიკის განყოფილების გამგე
### სამეცნიერო საბჭოს წევრი

დაბადებული 1945. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი. ინსტიტუტში მუშაობს 1975 წლიდან. არის 106 გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის, 7 მონოგრაფიის.

## გიორგი ბერულავა

### ბიზნესის პრობლემათა კვლევის განყოფილების გამგე სამეცნიერო საბჭოს წევრი



დაბადებული 1966. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ინსტიტუტში მუშაობს 1993 წლიდან. არის სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, საქართველოს პრეზიდენტის I და II ხარისხის სტიპენდიანტი. გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის 2 მონოგრაფია.

## ნანული არევაძე



### მაკროეკონომიკის განყოფილების გამგე სამეცნიერო საბჭოს წევრი

დაბადებული 1935. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობს 1960 წლიდან. არის 50-ზე მეტი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მათ შორის 3 წიგნის. მიღებული აქვს საქართველოს პრეზიდენტის მადლობა (2001წ).

## იზა ნათელაური

### ინოვაციებისა და საერთაშორისო კონკურენციის განყოფილების გამგე სამეცნიერო საბჭოს წევრი



დაბადებული 1955. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობს 1991 წლიდან. არის თსუ ასოცირებული პროფესორი. გამოქვეყნებული აქვს 52 სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის 1 მონოგრაფია. დაჯილდოებულია ღირსების მედლით.

## მამუკა ხუსკივაძე

### მდგრადი ეკონომიკური განვითარების განყოფილების გამგე
### სამეცნიერო საბჭოს წევრი



დაბადებული 1969. ემკ. ინსტიტუტში მუშაობს 1996 წლიდან. კითხულობს ლექციებს თსუ-ში. არის საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულ-ტეტის დეკანი. გამოქვეყნებული აქვს 22 სამე-ცნიერო ნაშრომი. მათ შორის 1 მონოგრაფია (თანაავტორობით).

## თენგიზ ქავთარაძე

### ლაბორატორიის გამგე



დაბადებული 1947. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობს 1977 წლიდან უმცროს, უფროს მეცნიერ თანამ-შრომლად და განყოფილების გამგედ. არის 95 გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი., მათ შორის, 5 მონოგრაფიის.

## გიორგი პაპავა

### მეცნიერი კონსულტანტი



დაბადებული 1923. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი. პროფესორი. ინსტიტუტში მუშაობს 1958-1962. (უფროს მეცნიერ თანამშრომლად) და 1996 წლიდან დღემდე. იყო განყოფილების გამგე. არის 131 გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშ-რომის ავტორი. მათ შორის 16 მონოგრაფიის 2 ბროშურის, 1 წიგნის, 1 ლაბორატორიულ სავარ-ჯიშოთა კრებულის. წლების მანძილზე ეწეოდა აქტიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას თსუ-ში. დაჯილ-დოებულია საქართველოს ღირსების ორდენით. არის აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სამეცნიერო პრემიის და საქართველოს განათლების სამინისტროს რესპუბლიკური პრემიის ლაურეატი.

## იური კაპანაძე

### მეცნიერი კონსულტანტი



დაბადებული 1917. ინსტიტუტში მუშაობს 1968 წლიდან. არის 70 გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. 7 მონოგრაფიის. წლების მანძილზე კითხულობდა ლექციებს საქართველოს სპორტის აკადემიაში. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

---

## მაია ჭინჭარაული



### მთავარი ბუღალტერი

დაბ.ადებული 1974. ინსტიტუტში მუშაობს 1994 წლიდან. არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომების ავტორი.

---

## ეთერი ჯაბანაშვილი

### კანცელარიის გამგე



დაბადებული 1985. ინსტიტუტში მუშაობს 2008 წლიდან.

---

## თეა შონია



### პერსონალის მართვის სამსახურის უფროსი იურისტი

დაბადებული 1976. ინსტიტუტში მუშაობს 2004 წლიდან.

## ნინელი თხინვალელი

### დირექტორის რეფერენტი

დაბადებული 1963. ინსტიტუტში მუშაობს 2000 წლიდან.



## ელენე დათუკიშვილი



### ბიბლიოთეკის გამგე

დაბადებული 1945. ინსტიტუტში მუშაობს 1975 წლიდან. მინიჭებული აქვს რესპუბლიკის საპატიო ბიბლიოთეკარის წოდება (1989).

## ნატო აბესაძე



### გამომცემლობის ხელმძღვანელი

დაბადებული 1964. ფილოლოგიის მაგისტრი. არის ავტორი წიგნისა “სიყვარულის სანთლები”. ინსტიტუტში მუშაობს 2008 წლიდან.

## სესილი ხანჯალაძე



### გამომცემლობის მთავარი რედაქტორი

დაბადებული 1944. ფილოლოგიის მაგისტრი, აღმოსავლეთმცოდნე. ინსტიტუტში მუშაობს 2008 წლიდან.

## ნინო საყვარელიძე

### გამომცემლობის რედაქტორი



დაბადებული 1968. ინსტიტუტში მუშაობს 2008 წლიდან.

## როლანდ სარჩიმელია



### უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

დაბადებული 1933. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ინსტიტუტში მუშაობს 1973 წლიდან. წლების განმავლობაში იყო განყოფილების გამგე. არის 85 გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის 5 წიგნის. კითხულობს ლექციებს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

## მურმან კვარაცხელია

### უფროსი მეცნიერი თანამშრომელი



დაბადებული 1952. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ინსტიტუტში მუშაობდა 1977-1983 წლებში და 2003 წლიდან დღემდე. არის სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. გამოქვეყნებული აქვს 50 სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის 4 მონოგრაფია. არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს დეპუტატი და ღირსების ორდენის კავალერი.

## რევაზ ჯავახიშვილი



### უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

დაბადებული 1936. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობს 1960 წლიდან. იყო განყოფილების გამგე. არის 70 გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის, 4 მონოგრაფიისა და 2 სახელმძღვანელოს ავტორი. კითხულობს ლექციებს თეუსი-ში.

## ეთერ კაკულია

### უფროსი მეცნიერი თანამშრომელი



დაბადებული 1953. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობს 1975 წლიდან. არის საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტის სრული პროფესორი. გამოქვეყნებული აქვს 31 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, 3 მონოგრაფია.

## ზურაბ რევიშვილი

### უფროსი მეცნიერი თანამშრომელი



დაბადებული 1948. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობს 1976 წლიდან. არის 50-მდე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის, 1 მონოგრაფიის.

## ლია თოთლაძე

### უფროსი მეცნიერი თანამშრომელი



დაბადებული 1967. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობს 1996 წლიდან. არის 19 გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის, 2 მონოგრაფიის. კითხულობს ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

## ქეთევან ქველაძე

### უფროსი მეცნიერი თანამშრომელი



დაბადებული 1968. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობს 2009 წლიდან. არის 15 გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის 1 მონოგრაფიის.

## ნატა დავლაშერიძე

### მეცნიერი თანამშრომელი



დაბადებული 1955. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობს 1992 წლიდან. არის 14 გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის 1 წიგნის.

## ნაზირა კაკულია

### მეცნიერი თანამშრომელი



ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობს 1993 წლიდან. კითხულობს ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. არის 40-ზე მეტი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომისა და 1 სახელმძღვანელოს ავტორი.

## ნუნუ ქისტაური

### მეცნიერი თანამშრომელი



დაბადებული 1956. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობს 1996 წლიდან. არის 32 გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის, 1 მონოგრაფიის.

---

## თინათინ ქურდაძე



### მეცნიერი თანამშრომელი

დაბადებული 1952. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობს 1991 წლიდან. არის არაერთი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. კითხულობდა ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

---

## მარინე ცუცქირიძე

### მეცნიერი თანამშრომელი



დაბადებული 1952. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობს 1990 წლიდან. არის არაერთი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. კითხულობდა ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

## გიორგი ბრეგვაძე



### მეცნიერი თანამშრომელი

დაბადებული 1959. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობს 1981 წლიდან. არის არაერთი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. კითხულობს ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელ-მწიფო უნივერსიტეტში.

## მედეა მელაშვილი

### მეცნიერი თანამშრომელი

დაბადებული 1954. ინსტიტუტში მუშაობს 1980 წლიდან. არის 20 გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.



## ლია დვალიშვილი



### მეცნიერი თანამშრომელი

დაბადებული 1970. ინსტიტუტში მუშაობს 1997 წლიდან. არის არაერთი გამოქვეყნებული სამეც-ნიერო ნაშრომის ავტორი.

## თამარ თაფლაძე

### მეცნიერი თანამშრომელი



დაბადებული 1962. ინსტიტუტში მუშაობს 1988-1996 წლებში მეცნიერ თანამშრომლად, შემდეგ 2009 წლიდან დღემდე. არის არაერთი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. 1994-2005 წლებში კითხულობდა ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

---

## ზურაბ ნოზაძე



### მეცნიერი თანამშრომელი

დაბადებული 1953. ინსტიტუტში მუშაობს 1991 წლიდან. რის 17 გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

---

## ციცინო თეთრაული

### მეცნიერი თანამშრომელი



დაბადებული 1962. ინსტიტუტში მუშაობს 1990 წლიდან. არის რამოდენიმე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

## ნინო ბერიანიძე



### მეცნიერი თანამშრომელი

დაბადებული 1984. ეკონომიკის მაგისტრი. ინსტიტუტში მუშაობს 2009 წლიდან. არის რამდენიმე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

## მარგარიტა კარგარეთელი

### შესყიდვების კოორდინატორი



დაბადებული 1940. ინსტიტუტში მუშაობს 1984 წლიდან. 1984-2006 წლებში იყო ინსტიტუტის მთავარი ბუღალტერი.

## ლიანა შაყულაშვილი



### მთავარი სპეციალისტი

დაბადებული 1937. ინსტიტუტში მუშაობს 1962 წლიდან.

## თეიმურაზ გოგოხია



### მთავარი სპეციალისტი

დაბადებული 1976. ინსტიტუტში მუშაობს 2008 წლიდან.

## ზაქარია ისაშვილი



### სპეციალისტი

დაბადებული 1982. ინსტიტუტში მუშაობს 2009 წლიდან.
იყო ინსტიტუტთან არსებული სასწავლო ცენტრის უფროსის მოადგილე.

## მარინა ცხადაძე



### ბიბლიოთეკარი, არქივარიუსი

დაბადებული 1956. ინსტიტუტში მუშაობს 1997 წლიდან.

## პავლე რიკაძე



### სპეციალისტი

დაბადებული 1948. ინსტიტუტში მუშაობს 2005 წლიდან.

## ნუნუ ქავთარაძე

### სპეციალისტი

დაბადებული 1950. ინსტიტუტში მუშაობს 1991 წლიდან.



## დალი ხიზანიშვილი

### სპეციალისტი



დაბადებული 1959. ინსტიტუტში მუშაობს 1998 წლიდან.

## თამაზ გველესიანი

### სამეურნეო, სარემონტო-საექსპლოატაციო და დაცვის სამსახურის უფროსი



დაბადებული 1961. ინსტიტუტში მუშაობს 2004 წლიდან.

## იუზა გველესიანი



### დაცვის უფროსი

დაბ.ადებული 1932. ინსტიტუტში მუშაობს 2006 წლიდან.

## არეშ დრიაევი

### ტექნიკოსი



დაბადებული 1935. ინსტიტუტში მუშაობდა 2004-2006 წლებში, შემდეგ 2008 წლიდან.

## არჩილ რუხაძე



### დაცვის თანამშრომელი

დაბადებული 1950. ინსტიტუტში მუშაობს 2006 წლიდან. არის სპორტის ოსტატი, რესპუბლიკური და საკავშირო კატეგორიის მსაჯი ბალახის ჰოკეიში. წლების განმავლობაში იყო ქ. თბილისის არმიის სპორტული კლუბისა და საქართველოს ვაჟთა ბალახის ჰოკეის გუნდის უფროსი მწვრთნელი. არის გადამდგარი პოლიციის კაპიტანი.

## არჩილ სამხარაძე

### დაცვის თანამშრომელი

დაბადებული 1962. ინსტიტუტში მუშაობს 2006 წლიდან.



## მარინე ლოგურაშვილი



### დამლაგებელი

დაბადებული 1962. ინსტიტუტში მუშაობს 2006 წლიდან.

# ანა სამხარაძე



**დამლაგებელი**

დაბადებული 1988. ინსტიტუტში მუშაობს 2008 წლიდან.

## საერთაშორისო სამეცნიერ-ანალიტიკური ჟურნალის „ეკონომისტის“ სამეცნიერო სარედაქციო კოლეგიისა და ინსტიტუტთან არსებული სადისკუსიო დარბაზის მოწვეული წევრები

# ლეო ჩიქავა



დაბადებული 1928. **საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,** იყო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ამჟამად არის აკად. პაატა გუგუშვილის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, თსუ მრჩეველთა საბჭოს წევრი, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამგედ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორად, სახელმწიფო სამსახურის მართვისა და მოსამსახურეთა მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის უფროსად. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, ივანე ჯავახისვილის სახ. მედლით, საპატიო სიგელებით, 2004 წელს საერთაშორისო ბიოგრაფიულმა ცენტრმა (კემბრიჯი, ინგლისი) იგი დააჯილდოვა საერთაშორისო ღირსების ორდენით და აირჩია ამ ორგანიზაციის წევრად.

# ავთანდილ სილაგაძე



დაბადებული 1954. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. იყო თსუ-ს ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე (1981-19860), თსუ-ს ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი (1986-1992), საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე (1992), საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი (1992-1998), თსუ-ს პრორექტორი (1998-2006), კათედრის გამგე (2004-2006), საქართველოს პარლამენტის წევრი (2004-2008). იგი არის საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერების დარგში (2004). დაჯილდოებულია ა. სმითის მედლით (ა.სმითის ინსტიტუტი, ლონდონი, 1996) და “ღირსების ორდენით” (2001).

## ნოდარ ჭითანავა



დაბადებული 1936. საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის ნამდვილი წევრი. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. იყო ზუგდიდის კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი, ცხაკაიას პარტიის რაიკომის პირველი მდივანი, აჭარის პარტიის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი, პარტიის ც/კ მდივანი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის პირველი მოადგილე, თავმჯდომარე. 1993-2004 წლებში იგი იყო ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ს/კ ინსტიტუტის დირექტორი.

## იური ანანიაშვილი



დაბადებული 1951. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. იყო საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის გამოთვლითი ცენტრის ინჟინერ-პროგრამისტი, თსუ ეკონომიკური კიბერნეტიკის, კათედრის ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი; ამჟამად არის თსუ სრული პროფესორი, ეკონომეტრიკის კათედრის ხელმძღვანელი; საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ეკონომიკური საბჭოს წევრი.

## როზეტა ასათიანი



დაბადებული 1939. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი, მიღებული აქვს საქართველოს ეკონომისტთა საზოგადოების სამეცნიერო პრემია (1988), თბილისის სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო პრემია (1993), საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო პრემია (2008), ღირსების ორდენი (1999). პროფესორ რ. ასათიანის კვლევის სფეროა მაკროეკონომიკის თეორიული და პრაქტიკული ხასიათის ამოცანათა ფართო წრე.

## კლიმენტი აჩელაშვილი



დაბადებული 1941. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მუშაობდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ეკონომიკის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკური კიბერნეტიკის კათედრის უფროს მასწავლებლად, დოცენტად, კათედრის გამგედ, ეკონომიკის ანალიზის მათემატიკური მეთოდების კათედრის გამგედ, ეკონომეტრიკის კათედრის ასოცირებულ პროფესორად. გამოქვეყნებული აქვს 42 ნაშრომი.

## თეიმურაზ ბერიძე



დაბადებული 1956. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ინსტიტუტში მუშაობდა 1983-1988 წლებში უფროს მეცნიერ თანამშრომლად, განყოფილების გამგედ და დირექტორის მოადგილედ. იყო საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე. ამჟამად ეწევა აქტიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

## შოთა ვეშაპიძე



დაბადებული 1954. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი. პროფესორი. გამოქვეყნებული აქვს 60-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან ათი არის წიგნი, ხოლო 2 მონოგრაფია. მიღებული აქვს პრემია საუკეთესო დამხმარე სახელმძღვანელოს თანაავტორობისათვის. ხელმძღვანელობდა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებს, კითხულობს ლექციებს თსუ-ში. იყო „ტექინფორმის“ ეკონომიკური განათლების სექტორის გამგე. ამჟამად არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

## მიხეილ თოქმაზიშვილი



დაბადებული 1955. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1995). ინსტიტუტში მუშაობდა 1977-1998 წლებში უფროსი მეცნიერი თანამშრომელისა და **განყოფილების გამგის თანამდებობებზე.** ეწევა აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას. არის საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი.

## იაკობ მესხია



დაბადებული 1946. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მუშაობდა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ მუშაკად, სექტორის გამგედ, განყოფილების გამგედ, დირექტორად (1991-1992), სსრკ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის აღრიცხვისა და სტატისტიკის დარგთაშორისი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორი (1986-2004) კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ეკონომიკური ინსტიტუტის რექტორად, ეკონომიკისა და ფინანსების ინსტიტუტის დირექტორად, ფინანსებისა და სტატისტიკის ინსტიტუტის დირექტორად, ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად. 2004-2007 წლებში იყო საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, თავმჯდომარე. ამჟამად არის თსუ სრული პროფესორი. არის საკავშირო კომკავშირის და საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი.

## ელგუჯა მექვაბიშვილი



დაბადებული 1956. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1999). ინსტიტუტში მუშაობდა 1978-1988 წლებში უმცროს, **უფროს და წამყვან მეცნიერ თანამშრომლად**. წლების განმავლობაში იყო თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი. ამჟამად აქტიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. არის სრული პროფესორი.

## ნუგზარ პაიჭაძე



დაბადებული 1940. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1972-2006. იყო თსუ ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი, თსუ საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი (1979-2005), თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (2006-2009). გამოქვეყნებული აქვს 67 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, 3 მონოგრაფია და 5 სახელმძღავნელო.

## უშანგი სამადაშვილი



დაბადებული 1952. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1995). ინსტიტუტში მუშაობდა 1980-2006 წლბში უფროს მეცნიერ თანამშრომლად და **ლაბორატორიის გამგედ** (1991). ეწევა აქტიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას.

## ავთანდილ სულაბერიძე



დაბადებული 1952. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. იყო ინსტიტუტის ასპირანტი (1978-1982), უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი (1979-1985), უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1985-1987), სოციოლოგიისა და დემოგრაფიის განყოფილების გამგე (1987-1990). ამჟამად არის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი.

## თეიმურაზ შენგელია



დაბადებული 1960. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. იყო ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, თსუ-ს სოხუმის ფილიალის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, კათედრის გამგე, 2005 წლიდან არის თსუ ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის კათედრის გამგე, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების ხელმძღვანელი.

## ნოდარ ხადური



დაბადებული 1970. ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ეკონომიკის მინისტრის თანაშემწე (1996-1997), ფინანსთა მინისტრის აპარატის უფროსი (1997-1998), ფინანსთა სამინისტროს შიდა ქართლის სამხარეო-საფინანსო ადმინისტრ. უფროსი (1998-1999), ეკონომიკის მინისტრის აპარატის უფროსი (1999-2000), პარლამენტის გადასახ.-სა და შემოსავლების კომიტეტის აპარატის უფროსი (2000-2003), ფინანსთა მინისტრის მოადგილე (2003-2004), საპარლამენტო მდივანი, თსუ-ს ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, 2006 წლიდან დღემდე თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრული პროფესორი.

## ეთერი ხარაიშვილი



დაბადებული 1953. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. იყო 1996-2000 თსუ-ს ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე სამეცნიერო მუშაობის დარგში, თსუ-ს ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მაგისტრატურაში სწავლების დარგში, ამჟამად არის 2006 წლიდან თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრული პროფესორი, მიკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი.

## ინსტიტუტის პირველი სამეცნიერო საბჭო

## პაატა გუგუშვილი



### საბჭოს თავმჯდომარე

(იხ. გვ. 30)

## სიმონ ჯანაშია



1900-1947.სახელგანთქმული ისტორიკოსი, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. 1941 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი და ისტორიისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი.

## ნიკო კეცხოველი



1897-1982. საქართველოს ბოტანიკური სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის (1942-1957) და ბიოლოგიის განყოფილებების (1957-1963) თავმჯდომარე, ვიცე-პრეზიდენტი (1943-1945), თსუ რექტორი (1945-1952), 1963 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი..

# ფილიპე გოგიჩაიშვილი



1872-1950. ინსტიტუტში მუშაობდა 1944-1950 წლებში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. კონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1935), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. თსუ ერთ-ერთი დამაარსებელი. 1918 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა პოლიტეკონომიის, ფინანსების, სტატისტიკისა და ეკონომიკური აზრის ისტორიის საუნივერსიტეტო კურსებს.

# გიორგი გეხტმანი



1870-1956. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. იგი იყო ჟურნალ ”ნაკადული”-ს და საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი, თბილისის პირველი კომერციული სასწავლებლის დირექტორი (1906-1919), თსუ ლექტორი (1921 წლიდან) და ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრის გამგე (1923-1956), საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკის კატედრის გამგე (1930 წ).

# ნიკოლოზ ქოიავა



1892-1967. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1919-1967 წლებში იგი იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი, დოცენტი, პროფესორი, ფინანსებისა და კრედიტის კათედრის გამგე, ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი და თსუ პრორექტორი.

## აკაკი კაკაბაძე



1898-1964. ინსტიტუტის პირველი სწავლული მდივანი (1944), განყოფილების გამგე (1948-1963), უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (1963-1964). ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. იყო თბილისის საფინანსო ინსტიტუტის დირექტორის (1936-1938) და თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე (1938-1941), უნივერსიტეტის სწავლული მდივანი (1942-1944).

## იოსებ ბაჯაძე



1908-1960. იყო ინსტიტუტის განყოფილების გამგე (1944-1955). ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ამიერკავკასიის მეაბრეშუმეთა ს/კ ინსტიტუტის დირექტორი (1935-1936), საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე (1935-1936), საქართველოს კპ ცკ-თან არსებული პარტიული სკოლის კათედრის გამგე, თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის პოლიტეკონომიის კათედრის გამგე და ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი (1955-1958).

## ნიკოლოზ იაშვილი



1900-1981. ინსტიტუტის განყოფილების გამგე (1945-1955). ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1938-1981 წლებში იყო თსუ დოცენტი, პროფესორი, 1936-1939 წლებში საქართველოს ზოოვეტინსტიტუტის, ხოლო 1939-1945 წლებში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში პრორექტორად.

## ივანე ჯაში



1901-1984. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. იგი მუშაობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (1926-1928), საკავშირო სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში (1928-1930) და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში (1932-1984)

## ლუარსაბ კარბელაშვილი



1896-1973. ინსტიტუტში მუშაობდა 1944-1946 წლებში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე. 1923-1938 წლებში მუშაობდა რესპუბლიკის სახელმწიფო სტატისტიკისა და საგეგმო ორგანოებში, ხელმძღვანელობდა ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ეკონომიკური გეოგრაფიის განყოფილებას და თსუ ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრას.

## ნიკოლოზ ტყეშელაშვილი



1910-1982. ინსტიტუტში მუშაობდა უფროს მეცნიერ თანამშრომლად. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. იყო თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი (1953-1954) და ჰუმანიტარული ფაკულტეტების პოლიტეკონომიის კათედრის გამგე (1960-1982).

## ირაკლი მიქელაძე



1902-1984. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, 1930 წლიდან 1977 წლამდე იყო საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ.

## კონდრატე ციმაკურიძე



1904–1995. ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე. იგი სხვადასხვა წლებში იყო საქართველოს სახელმწიფო ბანკის მმართველი, ფინანსთა მინისტრი, ვაჭრობის მინისტრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

## სერგი ბერაძე



1900-1981. ინსტიტუტში მუშაობდა უფროს მეცნიერ თანამშრომლად. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. იგი იყო თსუ პოლიტიკური ეკონომიის (1961-1978) და სახალხო მეურნეობისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის გამგე (1961-1978).

# ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომლები

## ვასილ ჩანტლაძე



1905-1996. **აკადემიკოსი.** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ინსტიტუტში მუშაობდა 1950-1980 წლებში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1930 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე. იყო ფინანსებისა და კრედიტის კათედრის დოცენტი (1930-1958), პროფესორი, გამგე (1958-1996).

## ისიდორე დოლიძე



1915-1982. **აკადემიკოსი.** იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. ინსტიტუტში მუშაობდა 1967-1982 წლებში განყოფილების გამგედ. იყო თსუ იურიდიული ფაკულტეტის დეკანი (1947-1948), კათედრის გამგე (1952-1957), საქართველოს უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე (1954-1957), საქართველოს კპ ცკ მდივანი (1957-1960), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1961-1967). დაჯილდოებულია მრავალი მედლითა და ორდენით.

## მიხეილ როკეტლიშვილი



დაბადებული 1928. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, **საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი).** ინსტიტუტში მუშაობდა 1978-1995 წლებში უფროს მეცნიერ თანამშრომლად, განყოფილების გამგედ. ეწეოდა აქტიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. არის ღირსების ორდენის კავალერი.

## ვალერიან მელქაძე



1912-1981. **საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ინსტიტუტში მუშაობდა 1946-1948 წელებში უფროს მეცნიერთანამშრომლად. იყო საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1975), სახალხო მეურნეობის ეკონომიკის დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დამაარსებელი და დირექტორი (1963-1981), საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდიანი (1952-1953), პარტიული სკოლის დირექტორი (1955-1958), საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი (1958-1960).

## ელიზბარ ნადარაია



დაბადებული 1935. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, **საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი,** ინსტიტუტში მუშაობდა 1973-1978 წლებში განყოფილების გამგის თანამდებობაზე, მიღებული აქვს აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სამეცნიერო დარგობრივი პრემია (1990), ამჟამად არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი.

## თენგიზ ხოშტარია



1927-1982. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ინსტიტუტში მუშაობდა 1959-1972 წლებში მეცნიერ თანამშრომლად, სწავლულ მდივნად, ხოლო 1976 წლიდან გარდაცვალებამდე – **დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში.** ამავე დროს იყო ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ეკონომიკურ პრობლემათა განყოფილების ხელმძღვანელი.

## ბექირბი ხასია



1925-1998. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1965). ინსტიტუტში მუშაობდა 1952-1998 წლებში მეცნიერ თანამშრომლად, უფროს მეცნიერ თანამშრომლად, განყოფილების გამგედ და **დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში.**

## თამაზ ჩიკვაიძე



1937-2008. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ინსტიტუიტში მუშაობდა 1973-1992 წლებში უმცროს, უფროს მეცნიერ თანამშრომლად, განყოფილების გამგედ და **დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში.** იყო საქართველოს ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილე (1993-1994). 1995 წლიდან მუშაობდა ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ს/კ ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ თანამშრომლად, დირექტორის მოადგილედ. იყო საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი.

## თამაზ აქუბარდია



დაბადებული 1951. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1983-1996 წლებში მეცნიერ თანამშრომლად, ლაბორატორიის გამგედ, სწავლულ მდივნად, **დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში.** წლების განმავლობაში იყო საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო კომიტეტის და მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

## ლეილა ნოდია



დაბადებული 1931. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ინსტიტუტში მუშაობდა 1958-1967 უმცროს და უფროს მეცნიერ თანამშრომლად, იყო ინსტიტუტის **სწავლული მდივანი.**

## ჯამლეტ შათირიშვილი



დაბადებული 1937. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ინსტიტუტში მუშაობდა 1984-1985 წლებში უფროს მეცნიერ თანამშრომლად და **სწავლულ მდივნად.**

## ლამარა მინდორაშვილი



დაბადებული 1933. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1966-1981 წლებში უფროს მეცნიერ თანამშრომლად და **სწავლულ მდივნად.**

## კონსტანტინე ბაქრაძე



1929-2000. ინსტიტუტში მუშაობდა 1959-1991 წლებში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად და **სწავლულ მდივნად.**

## გრიგოლ ქარჩავა



1907-1978. ინსტიტუტში მუშაობდა 1955-1978 წლებში უფროს მეცნიერ თანამშრომლად და **სწავლულ მდივნად.**

## ნოდარი ულუმბერაშვილი



დაბადებული 1958. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ინსტიტუტში მუშაობდა 1981-1993 წლებში მეცნიერთანამშრომლად, **სწავლულ მდივნად,** წლების განმავლობაში იყო ეკონომიკის და ფინანსთა მინისტრის პირველ მოადგილე და შემოსავლების მინისტრის მოადგილე. ამჟამად მუშაობს საქართველოს ენერგეტიკი ეროვნულ მარეგულირებელ კომისიაში.

## ნანა მიჩილაშვილი



1961-2008. ინსტიტუტში მუშაობდა 1987-1998 წლებში. იყო უფროსი მეცნიერი თანამშრომელი და ინსტიტუტის **სწავლული მდივანი.**

## კანდიდ ჩარკვიანი



1907-1994. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1971), პროფესორი, ინსტიტუტის **განყოფილების გამგე** (1961-1963). სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის ს/კ ინსტიტუტის განყოფილების გამგე (1963-1972), დირექტორის მოადგილე (1972-1981), დირექტორი. გაზეთ "კომუნისტის" რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი (1928-1930). იგი იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი (1938-1952).

## აპოლონ ნუცუბიძე



1903-1983. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი. პროფესორი (1963). ინსტიტუტში მუშაობდა 1949-1979 წლებში **განყოფილების გამგედ**, ხოლო 1979-1983 წლებში უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

## გრიგოლ ბაჯაძე



1908-1960. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1944-1955 წლებში **განყოფილების გამგედ.** იგი იყო ამიერკავკასიის მეაბრეშუმეობის ს/კ ინსტიტუტის დირექტორი (1935-1937), სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე (1935-1936), საქართველოს კპ ცკ-თან არსებული პარტიული სკოლის კათედრის გამგე, თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის პოლიტეკონომიის კათედრის გამგე და ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი.

## ალექსანდრე ბრეგვაძე



1915-2003. ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ინსტიტუტში მუშაობდა 1960-2001 წლებში უმცროს, უფროს, მთავარ მეცნიერ თანამშრომლად, **განყოფილების გამგედ** და კონსულტანტად.

## შალვა ბურდული



1918-2001. ინსტიტუტში მუშაობდა 1968-2001 წლებში ჯერ უფროს მეცნიერ თანამშრომლად, აღრიცხვისა და ფინანსების პრობლემათა **განყოფილების გამგედ** და წამყვან მეცნიერ თანამშრომლად.

## მიხეილ (ვახტანგ) კახეთელიძე



1912-1994. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ინსტიტუტში მუშაობდა 1950-1980 წლებში უფროს მეცნიერ თანამშრომლად და **განყოფილების გამგედ**.

## ზურაბ სოსელია



1955–2007. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ინსტიტუტში მუშაობდა 1980-1993 წლებში უფროს მეცნიერ თანამშრომლად, **განყოფილების გამგედ** იყო ჟურნალ „ეკონომისტის“ განყოფილების გამგე. ეწეოდა აქტიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. იყო საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე, ფინანსთა მინისტრისა და ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა მინისტრის პირველი მოადგილე.

## არჩილ თეთრაული



1935-2008. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1994). ინსტიტუტში მუშაობდა 1959-2008 ელებში  უფროს მეცნიერ თანამშრომლად და **განყოფილების გამგედ**. წლების განმავლობაში ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას. დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით. იყო თბილისის მენეჯმენტისა და მარკეტინგის უმაღლესი სკოლის დამფუძნებელი და რექტორი სიცოცხლის ბოლომდე.

## ვალერიან დათუკიშვილი



დაბადებული 1922. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ინსტიტუტში მუშაობდა 1991-2006 წლებში წამყვან მეცნიერ თანამშრომლად, ლაბორატორიისა და **განყოფილების გამგედ**. ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას. იყო კათედრის გამგე საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

## დურსუნ დიასამიძე



1926-1996. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ინსტიტუტში მუშაობდა 1954–1996 წლებში უფროს მეცნიერ თანამშრომლად და **განყოფილების გამგედ**.

## გვანჯი მანია



1918-1985. ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1980). ინსტიტუტში მუშაობდა 1973-1983 წლებში ეკონომიკურ-მათემატიკური კვლევისა და მატემატიკური სტატისტიკის **სექტორის ხელმძღვანელად.** გ. მანიას მოღვაწეობის შედეგად საქართველოში შეიქმნა მეცნიერთა კოლექტივები, რომლებიც იკვლევდნენ ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის ოპტიმალური პროგრამირებისა და ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენების პრობლემებს.

## რევაზ ჩიტაშვილი



1942-1995. ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ინსტიტუტში მუშაობდა 1973-1983 წლებში **განყოფილების გამგედ**. მან ღრმა კვალი დააჩნია საქართველოს ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის განვითარებას. მის გამოკვლევებში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ეკონომიკის მათემატიკურ მოდელებს. რ. ჩიტაშვილმა თავისი გამოკვლევებით და ლექციებით სათავე დაუდო სტოქასტიკურ-ფინანსური ანალიზის განვითარებას საქართველოში. მის ხსოვნას მიეძღვნა მონოგრაფია „ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა ეკონომისტებისათვის“ (2000).

## ამირან ჯიბუტი



დაბადებული 1928. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1989). ინსტიტუტში მუშაობდა 1983-1989 წლებში **განყოფილების გამგედ**. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით. იყო თსუ პროფესორი.

## გივი ბედიანაშვილი



დაბადებული 1953. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფეორი, ინსტიტუტში მუშაობდა 1985-1997 წლებში **განყოფილების გამგის** თანამდებობაზე.

## რამინ მითაიშვილი



დაბადებული 1942. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ინსტიტუტში მუშაობდა 2004-2006 წლებში ლაბორატორიის და **განყოფილების გამგედ.** არის მრავალი გამოქვეყნებული შრომების ავტორი. წლების განმავლობაში იყო საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე.

## მერაბ გველესიანი



დაბადებული 1944. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1980-1991 წლებში **განყოფილების გამგედ.** ამჟამად ეწევა აქტიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

## ილია ზაქარიაძე



დაბადებული 1954. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1981-1992. უმცროს, უფროს მეცნიერ თანამშრომლად და **განყოფილების გამგედ.** წლების განმავლობაში იყო საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე.

## ილია რუბინშტეინი



ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ინსტიტუტში მუშაობდა **განყოფილების გამგედ.** იყო არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

---

## ოთარ კანდელაკი



დაბადებული 1948. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1986-1993 წლებში უფროს, წამყვან მეცნიერ თანამშრომლად და **ლაბორატორიის გამგედ.**

---

## გივი ლემონჯავა



დაბადებული 1955. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1971-1994 წლებში **ლაბორატორიის გამგედ.**

---

## მალხაზ შუბითიძე



დაბადებული 1961. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1988-1995 წლებში უფროს მეცნიერ თანამშრომლად და **ლაბორატორიის გამგედ.**

## მადონა ლაღიძე



დაბადებული 1954. ინსტიტუტში მუშაობდა 1996-1998 წლებში **ლაბორატორიის გამგედ.**

## მერი ჩხეტია



დაბადებული 1940. ინსტიტუტში მუშაობდა 1968-2000. **ლაბორატორიის გამგე.**

## თეა გაბელია



დაბადებული 1976. ინსტიტუტში იყო საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის **სამსახურის მენეჯერი.**

## თამთა გრიგოლია



დაბადებული 1986. იყო ინსტიტუტის გამომცემლობის **მთავარი რედაქტორი.**

## ავთანდილ ჩუთლაშვილი



დაბადებული 1964. პროფესორი, ინსტიტუტში მუშაობდა 1992-1993 წლებში **უფროს მეცნიერ-თანამშრომლად.** იყო თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, დეპარტამენტის უფროსი. 2006 წლიდან არის ამავე უნივერსიტეტის რექტორი.

## დავით ჯანგულაშვილი



დაბადებული 1973. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ინსტიტუტში მუშაობდა 1977-1981 წლებიში ჯერ უმცროს, შემდეგ კი **უფროს მეცნიერ-თანამშრომლად.** იყო საქართველოს პროფესიული კავშირების სასწავლო სამეცნიერო ცენტრის გენერალურ დირექტორი. არის თბილისის უნივერსიტეტის დამფუძნებელი და რექტორი.

## ბონდო ზარნაძე



დაბადებული 1946. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ინსტიტუტში მუშაობდა 1977-1982 წწ. ჯერ უმცროს, შემდეგ **უფროს მეცნიერ-თანამშრომლად.** არის თბილისის საფინანსო საბანკო უნივერსიტეტის დამაარსებელი და რექტორი.

## გრიგოლ თოდუა



დაბადებული 1928. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი. პროფესორი (1968) ინსტიტუტში მუშაობდა 1956-1960. **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** ეწევა აქტიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

## ფარნაოზ მენთეშაშვილი



1918-1995. ინსტიტუტში მუშაობდა 1983-1989 წლებში **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1950-1995 წლებში იგი იყო თსუ დოცენტი, პროფესორი, აღრიცხვისა და ეკონომიკური ანალიზის კათედრის გამგე (1974-1992), საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

---

## გიორგი მშვილდაძე



1927-2004. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1976). ინსტიტუტში მუშაობდა 1959-1961. **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** წლების მანძილზე იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე.

---

## *გიორგი ადეიშვილი*



*1927-1999. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ინსტიტუტში მუშაობდა 1985 – 1987 წლებში **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** 1976-1978 წლებში მას ეჭირა საქართველოს მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობა. ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ მუშაობას. იყო თსუ პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგე. დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.*

---

## რევაზ გოგოხია



დაბადებული 1936. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1988) ინსტიტუტში მუშაობდა 1965-1977 წლებში **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** წლების განმავლობაში იყო სოფლის მეურნეობის მინისტრიის პირველი მოადგილე, ჟურნალ „სოციალური ეკონომიკის“ მთავარი რედაქტორი. ამჟამად ეწევა აქტიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, არის ჟურნალ “ ” მთავარი რედაქტორი

---

## პარმენ ლემონჯავა



დაბადებული 1936. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი. პროფესორი (1990) ინსტიტუტში მუშაობდა 1996-2006 წლებში **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** ეწევა აქტიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

---

## თამაზ კუნჭულია



დაბადებული 1935. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი. ინსტიტუტში მუშაობდა **უფროს მეცნიერ თანამშრომლად** (1959-1963). იყო სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე. ლანჩხუთისა და ოზურგეთის რაიკომის პირველი მდივანი, აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის და სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის მოადგილე, სააქციო საზოგადოება „ქართული ჩაის“ გენერალური დირექტორი. ამჟამად არის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დეპარტამენტის უფროსი

---

## არჩილ სტეფანიშვილი



1908-1997. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1972). ინსტიტუტში მუშაობდა 1961-1997 წწ. **მთავარ მეცნიერ თანამშრომლად.**

## რაფაელ ხარბედია



1913-1978. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1970). ინსტიტუტში მუშაობდა 1946-1966 წლებში **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

## გურამ უსტიაშვილი



ეკონომიკურ მეცნიერებატა დოქტორი, პროფესორი. ინსტიტუტში მუშაობდა **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.**

## ქეთევან წიკლაური



1940-2003. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1995). ინსტიტუტში მუშაობდა 1974-2003 წლებში უმცროს და **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.**

## ნიკა ხურციძე



1912–1998. ინსტიტუტში მუშაობდა 1947-1949 წლებში **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მეცნიერულ-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (1947-1949; 1953-1998.); სოხუმის პედინსტიტუტში (რექტორი, 1949-1953); სპი-ში (1947-1949, 1954-1957); თბილისის პედინსტიტუტში (1954-1998); სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის ს/კ ინსტიტუტში (განყოფილების გამგე 1963-1998).

## ოთარ სალარეიშვილი



1927–2004. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ინსტიტუტში მუშაობდა 1986-1997 წლებში **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** იყო თსუ კათედრის გამგე. დაჯილდოებულია ღირსების ორდენითა და სხვადასხვა სახელმწიფო ჯილდოებით.

## დავით პავლიაშვილი



ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ინსტიტუტში მუშაობდა 1967-1976 წლებში **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.**

## ნოე პაიჭაძე



1905-1992. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ინსტიტუტში მუშაობდა 1951-1985 წლებში უმცროს და **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.**

## ალექსანდრე ვაჩეიშვილი



ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ინსტიტუტში მუშაობდა 1957-1961 წლებში **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.**

## ოთარ ტატიშვილი



1911-1992. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ინსტიტუტში მუშაობდა 1959-1960 წლებში **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.**

## დანიელ თოფურია



ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ინსტიტუტში მუშაობდა **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** მოღვაწეობდა თსუ-ში.

## რევაზ ლორთქიფანიძე



დაბადებული 1965. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ინსტიტუტში მუშაობდა 1986-1993 წლებში **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** არის 27 წიგნისა და მრავალრიცხოვანი შრომისა და პუბლიკაციის ავტორი.

## დიმიტრი ქორიძე



1925-1997. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ინსტიტუტში მუშაობდა 1945-1950 წლებში ასპირანტი, **მეცნიერი თანამშრომელი.**

## კოტე იოსელიანი



ეკონომიკურ მეცნიერებატა დოქტორი, პროფესორი. ინსტიტუტში მუშაობდა **მეცნიერ თანამშრომლად.** იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი.

## ტრისტან ბუაძე



დაბადებული 1945. ფ/მმდ. ინსტიტუტში მუშაობდა 1973-1983 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.** არის 55 გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის 10 სახელმძღვანელოსა და 1 მონოგრაფიის.

## ვლადიმერ ახალაია



დაბადებული 1932. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი. ინსტიტუტში მუშაობდა 1957-1960 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.** იყო ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხოენათა პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორი კათედრის გამგე. დაჯილდოებულია „ღირსების მედლით" (1998) და „ღირსების ორდენით" (2003). ამჟამად კითხულობს ლექციებს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

## ვალერიან ბახტაძე



ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ინსტიტუტში მუშაობდა 1945-1950 წლებში **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.**

## ვალენტინა მიშინა



დაბადებული 1922. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1957-2006. უმცროს, უფროს და **წამყვან მეცნიერ თანამშრომლად.** იყო ლენინგრადის ბლოკადის მონაწილე.

## ქეთევან დადიანი



1915–1992. იყო პირველი ქალი, რომელმაც დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებაში. ინსტიტუტში მუშაობდა 1944-1955 წლებში **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.**

## შუშანა მარგველაშვილი



1917. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1944-1964 წლებში უმცროს და **უფროს მეცნიერ თანამშრომლად**. წლების განმავლობაში იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი.

## ვლადიმერ პაპავა



1885-1959. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა დაარსების დღიდან გარდაცვალებამდე **უფროს მეცნიერთანამშრომლად.** 1926-1955 წლებში ასევე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. დაჯილდოებულია მედლით "სახელოვანი შრომისათვის დიდი სამამულო ომში 1941 – 1945 წწ." (1946).

## სერგო სოსელია



1923–1993. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1950-1964. უმცროს და **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** გარდაცვალების დღემდე ეწეოდა აქტიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

## ელენე ჩიქოვანი



დაბადებული 1956. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ინსტიტუტში მუშაობდა 1978-1993 და 2007-2008 წლებში უმცროს და **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** ამჟამად მუშაობს საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტში სრულ პროფესორად, სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სასწავლო ცენტრში“ მიმართულების ხელმძღვანელად.

## იოველ ასათიანი



1907-2002. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი. პროფესორი. ინსტიტუტში მუშაობდა 1969-2002. უფროსი და **წამყვანი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე.** დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით. იყო ინიციატორი ბევრი კარგი წამოწყებისა

## გურამ ხასია



დაბადებული 1947. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1977-1991 წლებში უმცროს, უფროს და **წამყვან მეცნიერ თანამშრომლად.**

## გრიგოლ ბუაჩიძე



ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუ-ტში მუშაობდა 1960 წლიდან **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.**

## ივანე (ვაჟა) შარვაშიძე



დაბადებული 1945. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ინსტიტუტში მუშაობდა 1990-1994 წლებში **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მთავარი ბუღალტერი, მერაბ კოსტავას საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე. ამჟამად ლექციებს კითხულობს საქრთველოს ტექნიკურ უნივერ-სიტეტში.

## სულიკო მიქელოვი



ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ინსტიტუტში მუშაობდა 1961-1981 წლებში ჯერ უმცროს, შემდეგ **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.**

## ბიძინა კელენჯერიძე



1924-1985. ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1969-1978 წლებში **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** 1960 – 1967 წლებში იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე. 1978 – 1985 წლებში კი – ქუთაისის აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

## ლილი გვენეტაძე



დაბადებული 1945. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1977-1993 წლებში. იყო **უფროსი მეცნიერი თანამშომელი,** დაცვის სპეციალიზირებული საბჭოს წევრი და **სწავლული მდივანი.** ამჟამად ეწევა აქტიურ სამეცნიერო–პედაგოგიურ მოღვაწეობას.

## ლეილა გუგუშვილი



დაბადებული 1930. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1962-2006 წლებში ჯერ უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, შემდეგ **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.**

---

## მზია ქებურია



დაბადებული 1946. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1974-1994 წლებში **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** კითხულობდა ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. წლების განმავლობაში იყო თბილისის დამოუკიდებელი ინსტიტუტის – „ეგრისის“ რექტორი.

---

## თენგიზ მახვილაძე



დაბადებული 1939. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1993-1995 წლებში უმცროს და **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** კითხულობდა ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

---

## ნატალია აჩელაშვილი



დაბადებული 1947. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1991-2006 წლებში **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.**

---

## ლიანა ყანჩაველი



დაბადებული 1936. ინსტიტუტში მუშაობდა 1981-1987 წლებში უმცროს და **უფროს მეცნიერ თანამშრომლად** სამართლის სექტორში.

---

## გურამ გვენეტაძე



დაბადებული 1949. ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1986-1994 წლებში უმცროს და **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.**

---

## არჩილ კობახიძე



დაბადებული 1957. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1979-1995 წლებში ლაბორანტად, მეცნიერ თანამშრომლად და **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.**

---

## ვეფხია ჩოჩელი



დაბადებული 1969. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 2004-2006 წლებში **უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე.**

---

## ვენერა ფრანგიშვილი



დაბადებული 1929. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. ინსტიტუტში მუშაობდა 1974-1976 წწ. **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.**

---

## დავით კურტანიძე



დაბადებული 1943. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ასოცირებული პროფესორი. ინსტიტუტში მუშაობდა 1973-1980 წლებში უმცროს და **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.**

---

## ციალა ბენაშვილი



დაბადებული 1950. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1977-1993 წლებში უმცროს და **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** არის თსუ ასოცირებული პროფესორი. კითხულობს ლექციებს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში და თბილისის საბანკო-საფინანსო ინსტიტუტში.

---

## დავით პაქსაშვილი



დაბადებული 1957. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1982-1989 წლებში ლაბორანტად, ხოლო 1990-1994 წლებში უმცროს და **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** მუშაობდა საქართველოს ეროვნულ ბანკში

---

## ნარიმან ტერაშვილი



დაბადებული 1955. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1991-1993 წლებში **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** არის თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

---

## თამაზ ჯოლოხავა



დაბადებული 1960. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1983-2006 წლებში უმცროს და **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.**

---

## ლეო ბალანჩივაძე



დაბადებული 1937. ინსტიტუტში მუშაობდა 1960-1998 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.**

---

## რობერტ აბურჯანიძე



დაბადებული 1937. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1973-1978 წლებში **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი და მთავარი ბუღალტერი. 1978 წლიდან არის ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო სამმართველოს უფროსის მოადგილე.

---

## შარდენ ქარჩავა



1945-2001. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1970-1979 წლებში უმცროს და **უფროს მეცნიერ თანამშრომლად. იყო უნივერსიტეტ "გაენათის" რექტორი.**

---

## ზაურ თოლორდავა



დაბადებული 1945. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1974-1977 წლებში უმცროს და **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

---

## იზოლდა აბაშიძე



დაბადებული 1937. ინსტიტუტში მუშაობდა 1967-1990 წლებში **უფროს მეცნიერ თანამშრომლად**. ამჟამად არის სოციოლოგიისა და დემოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე.

## გოგი გველესიანი



ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა **უფროს მეცნიერ თანამშრომლად**.

## კონსტანტინე ნიჟარაძე



დაბადებული 1961. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ინსტიტუტში მუშაობდა 1986-1991 წლებში უმცროსი და **უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობებზე**.

## ლევან კამკამიძე



დაბადებული 1935. ინსტიტუტში მუშაობდა 1962-1965 წლებში **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** მუშაობდა ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში რედაქტორად.

## ლუდვიგ სადუნაშვილი



ეკონომიკურ მეცნიერებათა კკანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა **უფროს მეცნიერ-თანამშრომლად.**

## გოჩა მგელაძე



ინსტიტუტში მუშაობდა **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.**

## ნუგზარ ნადარაია



ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა **უფროს მეცნიერთანამშრომლად.**

---

## ანზორ კვიციანი



ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.**

---

## ბორის ნანიტაშვილი



ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1964-1971 წლებში უმცროს და **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** იყო არაერთი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

---

## რომან ირემაშვილი



ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.**

## მერი ძიძიშვილი



ინსტიტუტში მუშაობდა **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.**

## ალექსანდრე წერეთელი



დაბადებული 1930. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ინსტიტუტში მუშაობდა 1959-1961 და 1968-1974 წლებში უმცროს და **უფროს მეცნიერი თანამშრომლად.** ეწეოდა აქტიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სოციალურ-ეკონომიკურ ინსტიტუტში, სადაც მას მიენიჭა პროფესორის წოდება, დაჯილდოებულია ღირსების ორდენითა და მედლით შრომის ვეტერანი.

## ოთარ ავალიშვილი



1930-1999. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ინსტიტუტში მუშაობდა 1957-1978 წლებში **უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე.** არის 140-ზე მეტი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. სიცოცხლის ბოლომდე ეწეოდა აქტიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

---

## ვაჟა ბერიძე



დაბადებული 1953. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა (1988-1992) **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** იყო საქართველოს მთავრობის სახელმწიფო მრჩეველი ეკონომიკის დარგში, მინისტრთა კაბინეტის საფინანსო-საკრედიტო განყოფილების ხელმძღვანელი, საქართველოს მეანაბრე- აქციონერთა საზოგადოების ზედამხედველობის სამსახურის უფროსი. ამჟამად არის შპს „ბარაქას" დირექტორი.

---

## ნატალია მალაშხია



ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1973 წლიდან **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** არის 23-ზე მეტი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

---

## იური ნორაკიძე



1930-1993. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** იყო სოხუმის სუპტროპიკულ მეურნეობათა ინსტიტუტის დოცენტი.

## მარინე მუჩიაშვილი



დაბადებული 1956. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1978-1993 წლებში უმცროს და **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** კითხულობს ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. არის ასოცირებული პროფესორი. არის საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის განყოფილების გამგე.

## გულნარა (დალი) შენგელია



დაბადებული 1937. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1960 – 2006 წლებში ლაბორანტად, მეცნიერ თანამშრომლად, **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.**

## გულნაზი ერქომაიშვილი



დაბადებული 1958. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1984-1995 წლებში უმცროს და **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** კითხულობს ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იგი არის საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი,

---

## ნიკოლოზ დგებუაძე



ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტი-ტუტში მუშაობდა 1945 წლიდან **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.**

---

## ნუგზარ ცომაია



დაბადებული 1954. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ინსტიტუტში მუშაობდა 1984-1991 წლებში უმცროს და **უფროს მეცნიერ თანამ-შრომლად.** ამჟამად ეწევა აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას.

---

## ზურაბ გალდავა



ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტი-ტუტში მუშაობდა **უფროს მეცნიერ თანა-მშრომლად** მოღვაწეობდა თსუ-ში.

---

## ელგუჯა ჩადუნელი



ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტი-ტუტში მუშაობდა 1959-1978 წლებში უმცროს და **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** მოღვაწეობდა თსუ-ში დოცენტის თანამდებობაზე.

---

## ვალერიან ჯიბლაძე



ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუ-ტში მუშაობდა **უფროს მეცნიერთანამშრომლად**

---

## სიმონ გამყრელიძე



ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიუტში მუშაობდა **უფროს მეცნიერთანამშრომლად.** მოღვაწეობდა თსუ-ში

## მამულო კეკელიძე



ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1951-1960 წლებში უმცროს და **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.**

## ვლადიმერ ტრაპაიძე



ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა **უფროს მეცნიერთანამშრომლად.** იყო საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე.

## შოთა მელაძე



ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.**

## კირილე ღოღობერიძე



ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.**

## მიხეილ გველესიანი



ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.**

## ვალერიან რეხვიაშვილი



ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1961 წლიდან ჯერ უმცროს, შემდეგ **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** იყო სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგე.

## მერი ისხაკოვა-ჭიპაშვილი



ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1956-1977 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.**

## ოთარ წივილაშვილი



დაბადებული 1942. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1973-1980 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.**

## დავით ვეკუა



დაბადებული 1954. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 2004-2005 და 2007-2008 წლებში **მეცნიერ თანამ-შრომლად.** არის 19 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

## დიმიტრი მელაშვილი



დაბადებული 1935. ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 2005 – 2006 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.** იყო სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის გამოთვლი-თი ცენტრის დირექტორის მოადგილე სამეც-ნიერო დარგში, 2003 – 2005 წლებში – ეკონო-მიკის სამინისტროს სოციალური და ეკონომი-კური კვლევების ინსტიტუტის განყოფილების გამგე. ამჟამად მუშაობს თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში სამეცნიერო ცენტრის უფროს ოფიცრად. კითხულობ-და ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. გამოქვეყნებული აქვს 35 სამეცნიერო ნაშრომი.

## გია თოფურია



დაბადებული 1955. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1978-1992 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.** იგი იყო საქართველოს ეროვნული ბანკის პირველი პრეზიდენტი და ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილე.

## გურამ ყუფუნია



დაბადებული 1936. ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში მუშაობა დაიწყო **მეცნიერ თანამშრომლად** 1960 წ. იქვე 1961 წ. ჩაირიცხა და 1964 წ. დაამთავრა ასპირანტურა, რომლის შემდეგ სამუშაოდ გადავიდა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის ს/კ ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. იყო ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ს/კ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

---

## ზურაბ გარაყანიძე



დაბადებული 1959. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1990-1993 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.** დაჯილდოებულია „ღირსების მედლით".

---

## ლალი ბაქრაძე



დაბადებული 1964. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში/ მუშაობდა 1991-2006 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.**

---

## დოდო კურტანიძე



დაბადებული 1969. ეკონომიკის აკადემიური დოქტორი. ინსტიტუტში მუშაობდა 1992-2006 წლებში ლაბორანტად და **მეცნიერ თანამშრომლად.**

---

## ემზარ გაფრინდაშვილი



ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. 1959-1962 წლებში ინსტიტუტში მუშაობდა **მეცნიერ თანამშრომლად.**

---

## ცისნამი საბაძე



დაბადებული 1965. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1988-1998 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.** მიღებული აქვს საქართველოს პრეზიდენტის მადლობა და ღირსების მედალი.

---

## მერაბ ხურცილავა



დაბადებული 1949. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1977-1980 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.**

## მარინე აჩელაშვილი



დაბადებული 1975. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 2006-2008 წლებში. **მეცნიერ თანამშრომლად.**

## ნაირა ღვედაშვილი



დაბადებული 1963. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1991-1993 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად**. კითხულობდა ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

## თამარ ლაბაძე



ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტი-ტუტში მუშაობდა 1956-1963 წლებში უფროს **მეც-ნიერ თანამშრომლად.**

## მერი ტალახაძე



დაბადებული 1944. ფიზიკა-მათემატიკის მეც-ნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1973 – 1983 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.** გამოქვეყნებული აქვს 32 სამეცნიერო სტატია და 1 მონოგრაფია.

## ანა ახვლედიანი



დაბადებული 1970. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1992-1999. **მეცნიერ თანამშრომლად.** ამჟამად მუშაობს ლონდონში ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანი-ზაციაში.

## ზურაბ ბურჭულაძე



დაბადებული 1954. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1983-1989 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.**

## მედეა გოცირიძე



დაბადებული 1937 წ. ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1961-1963 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.** წლების განმავლობაში იყო საქართველოს სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, განათლების მინისტრის მოადგილე, ტურიზმის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ფინანსთა სამინისტროს სასწავლო ცენტრის უფროსი, თსუ-ს კათედრის გამგე. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

## სლავა ფეტელავა



დაბადებული 1965. ეკონომიკის აკადემიური დოქტორი. ინსტიტუტში მუშაობდა 1993 წელს **მეცნიერ თანამშრომლად.** მიღებული აქვს პრეზიდენტის მადლობა (2001 და 2005). წლების განმავლობაში იყო საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსისი მოადგილე. კითხულობს ლექციებს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

## ია ყიფშიძე



ინსტიტუტის ერთ-ერთი პირველი თანამშრომელი. მუშაობდა **მეცნიერ თანამშრომლად.**

## ციცინო გვრიტიშვილი



დაბადებული 1950. ინსტიტუტში მუშაობდა 1974-1990 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.** ამჟამად არის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

## მარინე ბეგთაბეგიშვილი



დაბადებული 1953. ინსტიტუტში მუშაობდა 1975-1989 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.** იგი არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. ამჟამად მუშაობს სს „თელასის“ აბონენტთა მომსახურების ცენტრის უფროსად.

## მაია ხაზარაძე



დაბადებული 1962. ინსტიტუტში მუშაობდა 1986-1997 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.**

## ეთერი გიგაური



დაბადებული 1963. ინსტიტუტში მუშაობდა 1992-1996 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად**. არის არაერთი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. კითხულობს ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მიღებული აქვს საქართველოს პრეზიდენტის მადლობა.

---

## ლია ელიავა



დაბადებული 1965. ინსტიტუტში მუშაობდა 1993-2001 წლებში **მეცნიერ მუშაკის თანამდებობაზე.** შემდეგ მუშაობდა ეროვნულ ბანკში მთავარ სპეციალისტად, განყოფილების გამგედ. ამჟამად მუშაობს თბილისის პოლიტიკურ აკადემიაში ლექტორად. გამოქვეყნებული აქვს 21 სამეცნიერო ნაშრომი.

---

## აბდი ბერიძე



დაბადებული 1962. ინსტიტუტში მუშაობდა 1987-1992 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.**

---

## მარიეტა ხარბედია



დაბადებული 1947. ინსტიტუტში მუშაობდა 1978-1999 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.** კითხულობს ლექციებს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

## თინა ავალიშვილი



დაბადებული 1943. ინსტიტუტში მუშაობდა 1968-1979 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.** გამოქვეყნებული აქვს არაერთი ნაშრომი, ამჟამად მუშაობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

## დოდო ავალიშვილი



დაბადებული 1962. ინსტიტუტში მუშაობდა 1985-1989 წლებში **მეცნიერ თანამშრომელად იყო ინსტიტუტის** ასპირანტ.

## მალვინა ღვინერია



დაბადებული 1943. ინსტიტუტში მუშაობდა 1970-1976 წლებში მეცნიერ თანამშრომლად.

## რუსუდან ცხადაია



დაბადებული 1937. მუშაობდა 1960-2001 წლებში მეცნიერ თანამშრომლად.

## ირინა დადვანი



დაბადებული 1961. ინსტიტუტში მუშაობდა 1982-1998 წლებში ჯერ ლაბორანტად, შემდეგ მეცნიერ თანამშრომლად.

## გია ფირცხალავა



დაბადებული 1927. ინსტიტუტში მუშაობდა 1959-1975 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.** გამოქვეყნებული აქვს 40 სამეცნიერო ნაშრომი.

## თამაზ ჭარაქაშვილი



დაბადებული 1933. ინსტიტუტში მუშაობდა 1985-1995 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.** არის 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის და 7 გამოგონების ავტორი.

## ნედული რობაქიძე-ჭარაქაშვილი



დაბადებული 1942. ინსტიტუტში მუშაობდა 1985 – 1995 წლებში ბუნებათსარგებლობის და გარემოს დაცვის ეკონომიკის განყოფილების **მეცნიერ თანამშრომლად.** არის 10-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

## ცისანა მაისურაძე



დაბადებული 1945. ინსტიტუტში მუშაობდა 1978-1991 წლებში მეცნიერ თანამშრომლად.

## თეიმურაზ ბრელიძე



დაბადებული 1954. ინსტიტუტში მუშაობდა 1977-1990 წლებში მეცნიერ თანამშრომლად.

## ნათია ზამთარაძე



დაბადებული 1967. ინსტიტუტში მუშაობდა 1991-1994 წლებში მეცნიერ თანამშრომლად.

## თენგიზ ლორთქიფანიძე



დაბადებული 1941. ინსტიტუტში მუშაობდა 1983-2006 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.**

## ფატი თოფურიძე



დაბადებული 1953. ინსტიტუტში მუშაობდა 1977-1980 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.**

## რუსუდან მაისურაძე



დაბადებული 1948. ინსტიტუტში მუშაობდა 1974-1995 წლებში ჯერ უმცროს მეცნიერ თანამშრომლად და შემდეგ **მეცნიერ თანამშრომლად.**

## ზვიად არჩუაძე



დაბადებული 1970. ინსტიტუტში მუშაობდა 1994-1999 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.**

---

## ანაიდა დემირხანოვა



დაბადებული 1941. ინსტიტუტში მუშაობდა 1991-1999 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.**

---

## პაატა შეშელიძე



დაბადებული 1968. ინსტიტუტში მუშაობდა 1992-1999 წლებში **მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე.** არის ახალი ეკონომიკური სკოლა „საქართველოს" პრეზიდენტი. ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში.

---

## ლელა დოლმაზაშვილი



დაბადებული 1967. ინსტიტუტში მუშაობდა 1987 წ. ლაბორანტად და 1991-1999 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.**

---

## ნაირა ხარხელი



დაბადებული 1965. ინსტიტუტში მუშაობდა 1993-1999 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.**

---

## ზურაბ ხვედელიანი



1950-2009. ინსტიტუტში მუშაობდა 1980-1999 წლებში **მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე.**

## ვანო ბაჩილავა



1951-2004. ინსტიტუტში მუშაობდა 1979-1996 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.** 1990-1995 წლებში მუშაობდა ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლეს სკოლაში დირექტორის მოადგილედ. იყო სახალხო დიპლომატიის საერთაშორისო აკადემიის დამფუძნებელი და რექტორი

## ვალიკო ბუჩუკური



1938-2006. ინსტიტუტში მუშაობდა 1980-2006. **მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე.** მას მომზადებული ჰქონდა საკანდიდატო დისერტაცია და გარდაიცვალა დაცვის წინა დღეებში.

## ნინო ყრუაშვილი



დაბადებული 1950. ინსტიტუტში მუშაობდა 1974-1990 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.**

## გიული კვირიკაშვილი



დაბადებული 1937. ინსტიტუტში მუშაობდა 1973-2001 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.**

## ლევან ხურციძე



დაბადებული 1955. ინსტიტუტში მუშაობდა 1978-1994 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.**

## ვახტანგ ბუცხრიკიძე



დაბადებული 1969. ინსტიტუტში მუშაობდა 1992-1993 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.** ამჟამად არის „თიბისი“ ბანკის პრეზიდენტი.

## ქეთევან ფიფია



დაბადებული 1963. ინსტიტუტში მუშაობდა 1991-2006 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.**

## ნანა ქარუმიძე



დაბადებული 1963. ინსტიტუტში მუშაობდა 1991-2006 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.**

## აზა ნიკოლაიშვილი



ინსტიტუტში მუშაობდა **მეცნიერ თანამშრომლად.**

## აკაკი რეხვიაშვილი



ინსტიტუტში მუშაობდა 1957-1962 წლები **მეცნიერ თანამშრომლად.**

## დავით ჯაფარიძე



ინსტიტუტში მუშაობდა 1973 წლიდან **მეცნიერ თანამშრომლად.**

## თამაზ პაიჭაძე



დაბადებული 1944. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1966-1973 წწლებში **მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე.**

## გოგი მოზაიძე



ინსტიტუტში მუშაობდა მეცნიერ თანამშრომლად.

## მერაბ ხომასურიძე



ინსტიტუტში მუშაობდა 1977-1982 წლებში მეცნიერ თანამშრომლად.

## მუზა ქებურია



1944-2007. ინსტიტუტში მუშაობდა 1970-1994 წლებში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად.

## მზია თულიანი



დაბადებული 1952. ინსტიტუტში მუშაობდა 1974-1993 წლებში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად.

---

## ალექსანდრე ბეგაშვილი



ინსტიტუტში მუშაობდა უმცროს მეცნიერ თანამშრომლად.

---

## მზია ნანეიშვილი



ინსტიტუტში მუშაობდა უმცროს მეცნიერ თანამშრომლად.

---

## გურამ ჯაფარიძე



ინსტიტუტში მუშაობდა **უმცროს მეცნიერ თანამშრომლად.**

---

## ნათელა ბაქრაძე



ინსტიტუტში მუშაობდა **უმცროს მეცნიერ თანამშრომლად.**

---

## რუსუდან გრიგოლია



1932-2010. ინსტიტუტში მუშაობდა **უმცროს მეცნიერ თანამშრომლად.** მუშაობდა სხვადასხვა ჟურნალში პასუხისმგებელ მდივნად.

---

## ინა ჯანაშვილი



დაბადებული 1945 . ინსტიტუტში მუშაობდა 1968-1979 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.**

---

## თამაზ ბაბილოძე



1935-1990. ინსტიტუტში მუშაობდა 1961-1963 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.**

---

## მაია სოსელია



დაბადებული 1968. აკადემიური დოქტორი. ინსტიტუტში მუშაობდა 1991-2006 წწ. ბუნებათ-სარგებლობის ეკონომიკის განყოფილების **უფროს ლაბორანტად.**

---

## ლალი მახარობლიშვილი



დაბადებული 1949. ინსტიტუტში მუშაობდა 1991-1995 წლებში უფროს ლაბორანტად.

## ვახტანგ შველიძე



დაბადებული 1927. ინსტიტუტში მუშაობდა დირექტორის მოადგილედ სამეურნეო დარგში.

## ამირან სხირტლაძე



დაბადებული 1941. ინსტიტუტში მუშაობდა 1974-1990 წლებში დირექტორის მოადგილედ სამეურნეო დარგში.

## ვლადიმერ ლუტიძე



1929-2010. ინსტიტუტში მუშაობდა 1993-2006 წლებში **დირექტორის მოადგილედ საერთო საკითხებში.**

---

## ზინა ქოქოსაძე



დაბადებული 1938. ინსტიტუტში მუშაობდა 1994-2006 წლებში **კანცელარიის გამგედ.**

---

## მარიამ გელაშვილი



დაბადებული 1938. ინსტიტუტში მუშაობდა 1993-2000 წლებში **მდივან რეფერენტად.**

---

## ნინა ხურცილავა



1924-2010. ინსტიტუტში მუშაობდა 1986-1995 წლებში ბუღალტრად.

## ნათელა ელბაქიძე



ინსტიტუტში მუშაობდა 1974-1997 წლებში ბუღალტრად.

## ხათუნა ჭიჭინაძე



დაბადებული 1962. ინსტიტუტში მუშაობდა 1985-1990 წლებში ბუღალტრად. ამჟამად დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მთავარი ბუღალტერია.

## მერი ბახსოლიანი



დაბადებული 1950. ინსტიტუტში მუშაობდა 1991-2001 წლებში **ბიბლიოთეკარის თანამდებობაზე..**

---

## ფელიქს ზაალიშვილი



ინსტიტუტში მუშაობდა 1994-2000 წლებში **დაცვის უფროსად.**

---

# ინსტიტუტის სამართლის სექტორის თანამშრომლები

## თინათინ წერეთელი



1903-1980. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის **წევრ-კორესპონდენტი.** იყო **ინსტიტუტის სამართლის სექტორის გამგე.** წლების განმავლობაში მუშაობდა თსუ სისხლის სამართლისა და პროცესის კათედრაზე. 1950-1952 წლებში იგი იყო იურიდიული ფაკულტეტის დეკანი.

## თამაზ შავგულიძე



1930-1993. ინსტიტუტში მუშაობდა 1957-1989 წლიდან უფროს ლაბორანტად, მეცნიერ თანამშრომლად, სამართლის ცენტრის ხელმძღვანელად, **დირექტორის მოადგილედ.** 1990 წლიდან მისი ძალისხმევით ჩამოყალიბდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, რომლის დირექტორიც იყო იგი სიცოცხლის ბოლომდე.

## ჯონი ხეცურიანი



დაბადებული 1951. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის **წევრ-კორესპონდენტი,** იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1976-1989 წლებში მუშაობდა ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლად, ლაბორატორიის ხელმძღვანელად, სახელმწიფოსა და **სამართლის კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილედ**. 1982 წელს მიენიჭა საკავშირო ახალგაზრდული პრემიის ლაურიატის წოდება მეცნიერების დარგში. 1990-1992 და 1999-2000 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრი. 1995-1999 და 2000-2001 წლებში მუშაობდა საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნად. 2001 წლიდან არჩეული იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ. მინიჭებული აქვს იუსტიციის მთავარი სახელმწიფო მრჩევლის სპეციალური წოდება და უმაღლესი საკვალიფიკაციო კლასის მოსამართლის საკლასო ჩინი. იყო საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს და იუსტიციის საბჭოს წევრი. არის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის (1991), საქართველოს კონსტიტუციის (1995), სამოქალაქო კოდექსის (1997), კონსტიტუციური შეთანხმების (2002) პროექტების ერთ-ერთი ავტორი.

---

## ბესარიონ ზოიძე



დაბადებული 1953. ინსტიტუტში მუშაობდა 1982-1989 წლებში **განყოფილების გამგედ.** იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი. იყო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო მუშაობის დარგში და დირექტორი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, პირველი კოლეგიის თავმჯდომარე. იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოსამზადებელი სარედაქციო კომისიის წევრი.

---

## თენგიზ ლილუაშვილი



1928-2007. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ინსტიტუტში მუშაობდა 1960-1986 წლებში **განყოფილების გამგედ.** ასრულებდა სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობას. იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით შექმნილი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე. იყო მრავალი კანონპროექტებისა და სამეცნიერო ნაშრომების ავტორი.

## გიორგი ნადარეიშვილი



1926–2004. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ინსტიტუტში მუშაობდა 1957-1993 წლებში **განყოფილების გამგედ.** გამოქვეყნებული აქვს 313-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

## ვლადიმერ მაყაშვილი



1904-1986. იყო ინსტიტუტის **უფროსი მეცნიერი თანამშრომელი** წლების მანძილზე იყო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი და ქართული საბჭოთა ენციკლობედიის სამართლის რედაქციის გამგე.

## ივანე სურგულაძე



იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ინსტიტუტში მუშაობდა 1957-1993 წლებში **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** საქართველოს სსრ მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე. მისი ძირითადი სამეცნიერო შრომებია: "საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის", "ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან", "საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია" და სხვა.

## იაკობ ფუტკარაძე



დაბადებული 1935. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ინსტიტუტში მუშაობდა 1959-1989 წლებში უმცროს და **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** 1994-1998 წლებში იყო საკონსტიტუციო კომისიის წევრი, პირველი კოლეგიის თავმჯდომარე, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

## მინდია უგრეხელიძე



დაბადებული 1942. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ინსტიტუტში მუშაობდა 1963-1976 წლებში უმცროს და **უფროს მეცნიერ თანამშრომლად**. იყო სტუ თანამედროვე სამართლის კათედრის გამგე, საქართველოს კპ ცკ-ის მეცნიერებისა და სასაწავლებლების განყოფილების გამგის მოადგილე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პრორექტორი, გაზეთ "კომუნისტის", და "ახალ საქართველოს" რედაქტორი, საქრთველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. ამჟამად არის ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მოსამართლე.

---

## ოთარ გამყრელიძე



დაბადებული 1932. იურიდიულრ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ინსტიტუტში მუშაობდა 1963-1989 წლებში **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** ამჟამად არის თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და განყოფილების გამგე. გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი სამეცნიერო და პუბლიცისტური ნაშრომი ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე.

---

## გიორგი ტყეშელიაძე



დაბადებული 1929. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ინსტიტუტში მუშაობდა მეცნიერ თანამშრომლად და **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.**

---

## დიმიტრი ბარათაშვილი



1917-2001. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ინსტიტუტში მუშაობდა 1984-1989 წწ. **მეცნიერ თანამშრომლად.**

## ლამარა სურგულაძე



1935-2006 წ. იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1959-1989 წლებში ლაბორანტის, უმცროსი, უფროსი მეცნიერი თანამშრომლის და **განყოფილების გამგის მოადგილის თანამდებობებზე.** წლების განმავლობაში ის აქტიურად და ნაყოფიერად ემსახურებოდა იურიდიულ მეცნიერებას. იყო მრავალი სამეცნიერო ნაშრომის და სახელმძღვანელოს, მათ შორის, შვიდი მონოგრაფიის ავტორი. მეცნიერული საქმიანობასთან ერთად ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ასპარეზზე და ახალგაზრდა იურისტთა მრავალი პლეადის აღმზრდელია.

## თევდორე (თედო) ნინიძე



დაბადებული 1950. იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1975-1978 წლებში უმცროს და **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** იყო საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი, სახელმწიფო საბჭოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარედ, საქართველოს გენერალურ პროკურორი და საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

## ედუარდ კემულარია



დაბადებული 1954. იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ინსტიტუტში მუშაობდა 1979 – 1987 წლებში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად და **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** 1992-1993 წლებში და 2005 წელს იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრი. 2004-2005 წლებში იყო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

## ირაკლი გოძიაშვილი



დაბადებული 1949. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1973-1989 წლებში უმცროს და **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** იგი დღესაც აგრძელებს მუშაობს თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. არის არაერთი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

## გიორგი თოდრია



დაბადებული 1949. იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1973-1987. უმცროს და **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** გამოქვეყნებული აქვს 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი საკონსტიტუციო სამართალში, სისხლის სამართლის სოციოლოგაში, სამართლის ფილოსოფიაში და კრიმინოლოგიაში.

## მარიამ ცისკაძე



იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა მეცნიერ თანამშრომლად და **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.**

## გიორგი ლეჟავა



იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.**

## ალბერტ აბესაძე



იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1966-1969 წლებში **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.**

## ნიბლია უგრეხელიძე



1936-2002. იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1969-1989 წლებში უმცროს და **უფროს მეცნიერ თანამშრომლად.** იგი სიცოცხლის ბოლომდე ეწეოდა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. იყო 20-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციისა და 1 მონოგრაფიის ავტორი.

---

## ელენე მისკარიანი



დაბადებული 1938. იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1969-1993 წლებში უფროსი ლაბორანტის, უმცროსი და **უფროსი მეცნიერი თანამშრომლის** თანამდებობებზე. გამოქვეყნებული აქვს 32-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. ძირითადად მისი ნაშრომები ეხებოდა საოჯახო სამართლის პრობლემებს და ანდროლოგიას.

---

## ანზორ გაბიანი



**იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.** დაბადებული 1935. ინსტიტუტში მუშაობდა 1961 წლიდან ჯერ ლაბორანტად, უმცროს მეცნიერ თანამშრომლად და **მეცნიერ თანამშრომლად.**
მოღვაწეობდა თსუ-ში

---

# გიორგი გოლოშვილი



დაბადებული 1949. იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.. ინსტიტუტში მუშაობდა **მეცნიერ თანამშრომლად.**

## თამარ ებრალიძე



დაბადებული 1958. იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1979-1993 წლებში ჯერ უფროს ლაბორანტად, შემდეგ **უმცროს მეცნიერ თანამშრომლად.** 1993 წლიდან მუშაობს სახელმწიფო და სამართლის ინსტიტუტში ჯერ მეცნიერთანამშრომლად, შემდეგ უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

## დავით დარახველიძე



იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა **მეცნიერ თანამშრომლად.**

## რამაზ ბერიძე



დაბადებული 1959. იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1981-1982 წლებში **უმცროს მეცნიერ თანამშრომლად,** იყო სახელმწიფოსა და საერთაშორისო სამართლის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. არის 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის (მათ შორის აშშ-ში გამოცემული ნაშრომების) ავტორი საერთაშორისო კერძო სამართლის საკითხებზე.

## რეჯინალდ დეკანოზოვი



იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა 1972-1989 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.**

## დოდო ჯულუხაძე



დაბადებული 1952. იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტში მუშაობდა **მეცნიერ თანამშრომლად.**

## ბესიკ სეხნიაიძე



იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუ-ტში მუშაობდა **მეცნიერ თანამშრომლად.**

## რუსუდან ბაქანიძე



დაბადებული 1961. ინსტიტუტში მუშაობდა 1983-1993 წლებში უფროსი ლაბორანტის, **უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის** და სამართლის სექტორის სწავლული მდივნის თანამდებობებზე. გამოქვეყნებული აქვს 10-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი მათ შორის 2 წიგნი. ამჟამად მუშაობს შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისში" იურიდიული დეპარტამენტის დირექტორად.

## ლევან გიორგაძე



ინსტიტუტში მუშაობდა 1960-1989 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.**

## მარიამ მერაბიშვილი



დაბადებული 1956. ინსტიტუტში მუშაობდა 1983-1992 წლებში **მეცნიერ თანამშრომლად.** დამთავრა ინსტიტუტის ასპირანტურა (1986-1989). მუშაობდა საქართველოს საგადასახადო სისტემაში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. ამჟამად მუშაობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის მთავარ სპეციალისტად.

## მაია ჩხატარაიშვილი



ინსტიტუტში მუშაობდა **მეცნიერ თანამშრომლად.**

## თეიმურაზ ჯაფარიძე



დაბადებული 1956. ინსტიტუტში მუშაობდა 1984-1993 წლებში უფროს ლაბორანტად და **მეცნიერ თანამშრომლად.** დამთავრებული აქვს ამავე ინსტიტუტის ასპირანტურა (1987-1990). ამჟამად მუშაობს საქართველოს სს „თიბისი ბანკში“ იურიდიული სამსახურის უფროსად.

---

## რუსუდან თავართქილაძე



დაბადებული 1948. ინსტიტუტში მუშაობდა 1976-1989 წლებში სამართლის ცენტრის ბიბლიოთეკის გამგედ და კანცელარიის გამგედ.